გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№399 (458) 21-28 თებერვალი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

ბორის დავითაია: ხეივანი, რომელიც საუკუნენახევრისაა

გვ.3

სპეცპროპაგანდა და დიდი მიშისტური ვირეშმაკობა

გვ.5

ჰამლეტ ჭიპაშვილი: რომელი ვექტორი სჯობს?

გვ.2

ვიზალიბერალიზაცია — ისტორიული აქტია?

გვ.9

რუსეთი საბჭოთა კავშირში დაბადებულთათვის გრინ-ქარდის შემოღებას აპირებს

გვ.3

ეს ძმები გრიმების ოცნებას უფრო ჰგავს — რას წერს Guardian სვანეთის შესახებ

გვ.3

თათია მოლაშვილი: ვაცხადებ, სულხანი სიკვდილამდე სააკაშვილმა, ადეიშვილმა და ბოკერიამ მიიყვანა!

გვ.10

გვ.4

ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

პაპიროსიან კაცს მარანს არ ვაკარებთ

გვ.11

ილორი
ეროვნული პოლიტიკა

რომელი ვექტორი სჯობს?

საქართველოს პარლამენტისთვის ბრძოლის დამახასიათებელ თვისებათა შორის, რაც არჩევნების მარათონის პროცესში გამოვლინდა, საგარეო პოლიტიკის ცალმხრივი, დასავლური ორიენტაციაა. ყველა პარტია, ვინც მონაწილეობას იღებს არჩევნებში, ხაზგასმით გაჰყვირის ევროატლანტიკურ ვექტორზე. ყველა ერთხმად ჰპირდება ქვეყანას ნატო-ში და ევროკავშირში მიღებას.

არჩევნებში მონაწილე თითო-ოროლა პარტია ნახევარხმაში აცხადებს ქვეყნის სხვა ორიენტაციას, მაგალითად ნეიტრალურს, თუმცა არც დასავლეთთან ურთიერთობას არ გამორიცხავს. ერთადერთი პარტიაა კომუნისტური, რომელიც სწორებას რუსეთზე აკეთებს, რასაც დანარჩენი პარტიები ცინიკურად, დაცინვით ხვდებიან, თითქოს რაღაც შეუძლებელს, წარმოუდგენელს, ჯერ არნახულს და არგაგონილს ჰქონდეს ადგილი.

არადა, ჩემი დაკვირვებით, კომუნისტების მიერ ამორჩეული გზა დაცინვას ნამდვილად არ იმსახურებს, უფრო მეტიც, ეს გზა არა ხვალინდელი, ზეგინდელია. მას საზოგადოების მხრიდან არსებული ვითარების სიღრმისეული გაანალიზება ესაჭიროება, რასაც შესაბამისი დრო დასჭირდება.

25-წლიანმა დასავლურმა პროპაგანდამ შეცვალა საზოგადოების მსოფმხედველობა და ისეთად აქცია, რასაც დასავლეთი მოითხოვდა მისგან – დამჯერი, ევროატლანტიკური ბრძანებების უყოყმანო შემსრულებელი, ისეთივე გულქვა, დაუნდობელი და დაუნახავი, როგორიც დასავლური პოლიტიკაა.

საქართველოს მოსახლეობა ხვდება, რომ გზა, რომელიც პოლიტიკოსებმა შესთავაზეს, ის არ არის, რასაც ისურვებდა, მაგრამ მან არ იცის, რა გზას დაადგეს. არცოდნის მრავალი მიზეზი არსებობს, მათ შორის მთავარი, გაუსაძლისი სოციალური მდგომარეობაა. ყოველდღიური ომი ლუკმაპურის მოსაპოვებლად არ იძლევა სიღრმისეული დაფიქრების შანსს, რაც, ერთის მხრივ, კარგიც არის საზოგადოების გამოსაფხიზლებლად.

გამოფხიზლება გაცილებით ადრე მოხდებოდა, ჟურნალისტებს რომ არსებული ვითარება შესაბამისად გაეშუქებინათ, მინიმალური ყურადღება რომ სოციალური პრობლემებისთვის დაეთმოთ. ჟურნალისტიკამ, რომელიც თავს მეოთხე ხელისუფლებად ნათლავს, არ იცის, რა ხილია სოციალური პრობლემები; რა არის საჭირო მის გამოსამზეურებლად; როგორი უნდა იყოს კრიტიკა, თუ მას იმსახურებს ხელისუფლება, ბიზნესი თუ ნებისმიერი ორგანიზაცია.

არჩევნებში მონაწილე ყველა პარტია დასავლეთისკენ მიდის, გარდა კომუნისტებისა და, რაც არ უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, ამ უკანასკნელთა გზა, უფრო პრაგმატულია იმ აბსტრაქტულთან შედარებით, რომელიც დანარჩენებმა ამოირჩიეს – უმთავრესად ერთმანეთის წაბაძვით და იმის შიშით, რომ მოწინააღმდეგეს პრორუსულობაში არ დაედანაშაულებინა.

რაც არ უნდა თქვას საქართველოს პოლიტიკამ და მედიამ თავისუფალი, დემოკრატიული ვარო, ფაქტები საწინააღმდეგოზე მეტყველებს, რაც არაერთხელ გამოსცადა თქვენმა მონამორჩილმა საკუთარ თავზე. თვითცენზურამ ჩაანაცვლა საბჭოთა პერიოდში არსებული ცენზურა. ასე იყო შევარდნაძის დროს, უფრო მკაცრად სააკაშვილის დროს, ასეა დღესაც – **„დემოკრატიისა“** და **„თავისუფალი“** სიტყვის ზეობისას.

დიდ იშვიათობას წარმოადგენს იმ ანალიტიკური მასალის გაზეთში გამოქვეყნება, სადაც ქვეყნის უგვირგვინო ბატონ-პატრონი ივანიშვილია გაკრიტიკებული. გაკრიტიკებული და არა გალანძღული. თუ ამას რომელიმე პოლიტიკოსი ან ექსპერტი ბედავს ელექტრონული მედიის პირდაპირ ეთერში, მას უმალ პირში უვარდებიან ბიძინასთვის თავდადებული ჟურნალისტები, ხოლო მეორე დღეს, ბიძინური გაზეთები ქოქოლას აყრიან შერისხულ, უკვე **„პერსონა ნონ გრატად“** გამოცხადებულ ექსპერტს ან პოლიტიკოსს.

ცხადია, ასეთ ვითარებაში ზედმეტია სიტყვის თავისუფლებაზე, მითუმეტეს დემოკრატიაზე საუბარი, მითუმეტეს იმის განცხადება, რომ საქართველოს სხვადასხვა ხელისუფალთა მიერ არჩეული ევროატლანტიკური გზა უტოპიური და წამგებიანია, ვიდრე ის, რასაც კომუნისტები იჩემებენ.

ვიდრე შევეხებოდეთ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, უპირველესად უნდა განვიხილოთ მარტივი საკითხი – არის თუ არა აღნიშნული სტრუქტურები (ნატო, ევროკავშირი) საქართველოს მიღებისთვის მზად. ჩემი პასუხი მარტივია – არა!

ნატო არ მიგვიღებს თავის რიგებში, ვინაიდან პრობლემები გვაქვს მეზობლებთან, უპირველესად რუსეთთან. საქართველოს ნატო-ში მიღების შემდეგ, ნატო ვალდებული იქნება ჩვენი პრობლემები გაითავისოს და მუდმივ კონფრონტაციაში შევიდეს რუსეთთან. ნატო ის ორგანიზაცია არ არის, რომელიც წევრი სახელმწიფოების ტერიტორიულ საკითხებს აგვარებდეს.

ნატოში მიღების ფერმკრთალ შანსს იძლევა საქართველოს მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. დღეს, აღიარების საკითხი უტოპიურად მიმაჩნია. დავუშვათ, ოფიციალურმა თბილისმა აღიარა ყოფილი ავტონომიების დამოუკიდებლობა, საქართველოს უმალ მიიღებენ ნატო-ში? პასუხი მარტივია – არა. და რატომ? აღიარებას უნდა მოჰყვეს სახელმწიფო საზღვრების გავლება (დემარკაცია, დელიმიტაცია) ჩვენსა და მათს შორის, რაც დიდ დროს და შრომატევად პროცედურებს მოითხოვს.

აქვე, ცნობისთვის, მოგახსენებთ – საქართველოს არც რუსეთთან, არც სომხეთთან და აზერბაიჯანთან არ აქვს გავლებული საზღვრები, რაც თავისთავად ხელშემშლელი ფაქტორია ნატო-ში შესვლის გზაზე. სხვა ნეგატიური საკითხების ჩამოთვლით მკითხველის ყურადღებას არ დავძაბავ.

გაცილებით რთულია ევროკავშირში შესვლა, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკა არც ერთი პარამეტრით ახლოსაც ვერ მიდის ევროკავშირის ეკონომიკასთან. საქართველო არის ქვეყანა, რომლის ეკონომიკა კლანურ-ქურდულ პრინციპებზეა დაფუძნებული. ქვეყანაში არ არის ანტიმონოპოლიური სამსახური და ბიზნესი მოკლებულია ყოველგვარ კონტროლს, რაც ერთობ აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის გზაზე ახალშემდგარი ქვეყნისთვის.

ქართული ბიზნესი, თავისი მსოფმხედველობით და შეგნებით მტაცებელია. მისთვის უმთავრესია ფულის მოხვეჭა და თანაც ბევრის, თუნდაც ნებისმიერი გზით. ამ ბიზნესის უდიდესი ნაწილი უცხოეთში პროდუქტის, თანაც ვადაგასულის, დაბალ ფასებში შეძენა და სამშობლოში სამჯერ-ოთხჯერ მომატებულ ფასებში გაყიდვაა. მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება – დავასახელებ საწვავს, მედიკამენტებს, კვების პროდუქტებს და ა.შ.

საქართველოში უმნიშვნელოა ან საერთოდ არ არის ბიზნესი, რომელიც წარმოებას ეფუძნება. თუ არის, მასაც დიდი პრობლემები ექმნება **„კოლეგა“** იმპორტიორი ბიზნესის მხრიდან. გახსოვთ ალბათ ავსტრიელი მეწარმის შირნჰოფერის სავალალო თავგადასავალი. ეს, ის მეწარმე იყო, ვინც ძეხვეულის, ხორცის, სხვა ხორცპროდუქტების საწარმოების გახსნას გვპირდებოდა, თან ქართველ ფერმერთა დასაქმებას. მისი გათვლით, საქართველოში 1 კგ ხორცის ფასი 5 ლარს არ ასცდებოდა. შირნჰოფერის გეგმა მარტო საქართველოს არ მოიცავდა. მას თავისი პროდუქციის გასაღების ბაზრად მეზობელი ქვეყნების, მათ შორის რუსეთის ბაზარი მიაჩნდა. არ მოიწონეს ქართველმა იმპორტიორებმა შირნჰოფერის პროექტი და ისეთ დღეში ჩააგდეს, ლამის ავსტრიაშიც კი ხელი ააღებინეს ბიზნესისგან.

ქართულმა საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ საქართველოში მასშტაბური ინვესტიციების განხორციელება მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ უცხოელი ბიზნესმენი, მეზობელი ქვეყნების, განსაკუთრებით რუსეთის ბაზრის ათვისებას შეძლებს. დღევანდელობა კი უდავოდ ნეგატიურ სურათს უსახავს ნებისმიერ ბიზნესმენს ამ კუთხით, ვინაიდან საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ვითარება ისეთია, უარესს რომ ვერ ინატრებდა კაცი. ვიდრე რუსეთთან არ დათბება ურთიერთობა, დიდი ინვესტიციების მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. არც ერთი პოლიტიკური პარტია აღნიშნულს სერიოზულად არ აღიქვამს, გარდა კომუნისტებისა.

დავუშვათ, შეგვიყვანეს ევროკავშირში, რას მივიღებთ ამით? პასუხი მარტივია – იმას, რაც მიიღეს ბალტიისპირა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა, რუმინეთმა, ბულგარეთმა, სხვებმა. ამ ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პოტენციალი – საბჭოეთის არსებობის დროს ერთობ მაღალი, გაქრა. ევროკავშირში შესვლამ გამოიწვია ამ ორივე დარგის სრული დეგრადაცია და უმუშევრობა. ეს ქვეყნები დაიცალა მოსახლეობისგან. უმუშევრად დარჩენილი მილიონობით ბალტიისპირელი, ბულგარელი თუ რუმინელი, ევროკავშირის შეძლებულ ქვეყნებს მიაწყდა, რამაც მასპინძლებში გარკვეული უკმაყოფილება შექმნა.

თავისუფალი ევროპული ბაზარი, რასაც ევროპა ჰპირდება საქართველოს – უტოპიაა, ვინაიდან საქართველოს, გარდა ღვინისა და მინერალური წყლებისა არაფერი აქვს საექსპორტო. არის თუ არა შესაძლებელი ისეთი პროდუქციის წარმოება, რომელიც გავა ევროპულ ბაზარზე და გაუძლებს იქაურ კონკურენციას?

ცხადია არის, მაგრამ ამას საკმაო დრო და სახსრები სჭირდება. ქართულმა ბიზნესმა არ იცის რა ესაჭიროება ევროპას. მას არც სარეკლამო ფული აქვს. რაც შეეხება უცხოურ ინვესტიციას, მას კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ესაჭიროება და გასაღების ბაზარი. ქართული ბაზარი მოსახლეობის სიმცირიდან და დაბალი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე არ იქნება საკმარისი. ერთადერთი რაც მას დააინტერესებს რუსეთის ბაზარზე გასვლაა.

საქართველოს უცხოური ინვესტიციისთვის აქვს თავისი ხიბლი – იაფფასიანი მუშახელი, მაგრამ მას სწავლა დასჭირდება, რაც ფულთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებას, სრული შესაძლებელია ევროპულმა პროდუქციამ დაიპყროს ქართული ბაზარი და უკვე შინ შეუქმნას ქართულ პროდუქციას პრობლემები, მათ შორის ღვინოსა და მინერალურ წყლებსაც კი.

კომუნისტებმა კარგად იციან ზემომოყვანილი საკითხების თაობაზე და იმიტომაც გვთავაზობენ ევრაზიულ კავშირს. ეს ის სივრცეა, სადაც ახსოვთ ქართული პროდუქცია, სადაც, ძველი სახელიდან გამომდინარე, მას მიიღებენ გაცილებით ნაკლები პრობლემებით, ვიდრე ევროკავშირი.

ევრაზიული სივრცე უდავოდ პერსპექტიულია, ვინაიდან ის მოიცავს არა მარტო რუსეთს, ბელორუსს, სომხეთს და ცენტრალური აზიის ქვეყნებს, არამედ ისეთ გიგანტებს, როგორებიცაა ჩინეთი, პაკისტანი, ინდოეთი, პერსპექტივაში ირანი. არის თუ არა ესოდენ უკიდგანო გასაღების ბაზარი საკმარისი ქართული პროდუქციისთვის? ცხადია არის. უფრო მეტიც – მარტო რუსეთის ბაზრის დაკმაყოფილებისთვის მოუწევს საქართველოს 24-საათიან რეჟიმში მუშაობა.

და კიდევ ერთი რამ, რაც უდავოდ გასათვალისწინებელია ყველა იმათ მიერ, ვინც ევროატლანტიკური სივრცისკენ იყურება. მენტალური პრობლემები და დასავლეთთან თავსებადობის საკითხები. ევროპელსა და ქართველს შორის გარეგნული განსხვავება თითქმის არ არსებობს. ფასადურად ჩვენც ისე გამოვიყურებით, როგორც ისინი, მაგრამ გარეგნული იერსახე არ არის მთავარი. მთავარი მენტალიტეტია. მიუხედავად 25-წლიანი დაახლოებისა, საქართველოს მოსახლეობის მენტალიტეტი განსხვავებულია ევროატლანტიკურისგან, რაც ჩემის აზრით კარგია, მაგრამ მათი აზრით – ცუდი. სწორედ ამ **„ცუდის“** გამოსწორების მიზნით, უფრო სწორად გადაგვარების, ბევრს აკეთებს დასავლეთი – აქ შექმნილი საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით.

დასავლეთს არაფრად მიაჩნია ადგილობრივი კულტურა, ისტორია, ადათ-წესები. მისი სურვილია იყო ისეთი, როგორიც მას უნდა ანუ სააკაშვილი, ბოკერია, თევზაძე, ხოშტარია, რამიშვილი, სხვები და სხვები. მას უნდა, რომ ქართველმა თქვას ის, რაც თევზაძემ ბრძანა – ინგლისური მშობლიური ენა უნდა იყოსო. მას უნდა, რომ შენ ყველაფერში მას ბაძავდე, აღმერთებდე, მის დავალებებს უყოყმანოდ ასრულებდე, მოგწონდეს და მხარს უჭერდე ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, გიყვარდეს ყოველივე ამერიკული და ა.შ.

ნაწილობრივ მისი სურვილები შეასრულეს ზემომოყვანილმა პირებმა და სხვებმაც, მაგრამ ეს საკმარისი არ არის ძირფესვიანი გადაგვარებისთვის. დიახ! დღეს, თითქმის ყველა პარტია გაიძახის ევროატლანტიკურ სივრცეს, ვინაიდან მათ უკვე გადალახეს ის მორალური ბარიერი, შუბლის ძარღვის გაწყვეტა რომ ჰქვია. მათთვის ისეთივე მისაღებია დასავლური ქცევა, როგორც დასავლელისთვის, თორემ ვინმეს მაინც გაუჩნდებოდა საწინააღმდეგო მოსაზრება იმ ქმედებიდან გამომდინარე, რასაც აშშ-ი და მისი ევროპელი სატელიტები სჩადიან.

გავიხსენოთ სააკაშვილის ჟამი და ის პროვოკაციული აქტები, რომლებსაც მაშინდელი ხელისუფლება სჩადიოდა და შემდეგ რუსეთს აბრალებდა. მაშინ, ჩვენ გვეგონა, რომ ეს თაღლითობა ამერიკელებმა არ იცოდნენ. ვერაფრით წარმოვიდგენდით, რომ **„იდეები“** ვაშინგტონიდან მოდიოდა. ჩვენ ყოველივე ასეთი მაშინ გავიგეთ, როდესაც ანალოგიური, უკრაინაში გამეორდა.

ჩამოაგდებ სამოქალაქო თვითმფრინავს და რუსეთს დააბრალებ. გადაატრიალებ ლეგიტიმურ ხელისუფლებას და იტყვი – ხალხმა გადაატრიალაო. სირიაში დაბომბავ ჰუმანიტარულ ტვირთს და რუსეთ-სირიას დააბრალებ – ყოველგვარი ლოგიკის და ფაქტების გარეშე. იმასაც არ მიიღებ მხედველობაში, რომ გაეროს 71-ე სესიის დაწყების წინ მაინც რატომ დაბომბავდა ჰუმანიტარულ ავტოკოლონას რუსული ავიაცია? იმისთვის ხომ არა, რომ მაზოხისტია და მსოფლიოს ლანძღვა სიამოვნებს?

დასავლეთის პროპაგანდის მიხედვით, რუსი ჰაკერები ტეხენ აშშ-ს დემოკრატიული პარტიის საიტს და იქაურ საიდუმლოებას აცნობენ მთელს მსოფლიოს; რუსი ჰაკერები ტეხენ მსოფლიო დოპინგის ორგანიზაციის საიტს და ყველას სამსჯავროზე გამოაქვთ **„ვადას“** (WADA) თანხმობა ცნობილი სპორტსმენებისთვის დოპინგის მიღების თაობაზე, მაშინ, როდესაც WADA-მ ვითომ დოპინგის მიღებისთვის (ყოველგვარი ფაქტების გარეშე) პარაოლიმპიური თამაშებიდან მოხსნა რუსეთის ოლიმპიური ნაკრები. როდესაც ერთი ლიდერი ქვეყანა, მეორეს (რუსეთს) საკუთარ დანაშაულს აჰკიდებს და თან PR-ით გაამაგრებს, რას გიზამს შენ?

აშშ-სთვის საქართველო მხოლოდ ქაღალდზეა პარტნიორი და არა რეალობაში, რაც კარგად უნდა იცოდეს ქართულმა პოლიტიკამ. ამერიკა, პრეზიდენტის პირით აცხადებს, რომ ის არის გამორჩეული ქვეყანა, ყველა დანარჩენზე მაღლა მდგომი. ის, ყველა ქვეყნისგან მოითხოვს მორჩილებას და იმის აღიარებას, რომ ის განსაკუთრებულია. ასეთი, არასდროს გაიზიარებს შენს პრობლემებს. ასეთი, მუდამ გაგაკეთებინებს იმას, რაც მას სურს, შემდეგ დაღეჭილ საღეჭ რეზინასავით გადმოგაფურთხებს. ასეთთან ჩახუტება სახიფათოა, რაც კარგად იციან კომუნისტებმა, ამიტომაც მოგვიწოდებენ ისინი სხვა მიმართულებით მზერას.

ჰამლეტ ჯიპაშვილი,
პოლიტოლოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეივანი, რომელიც საუკუნენახევრისაა

ხეივანი, რომელზეც მინდა გესაუბროთ, ბუნების ნატურალური ნიმუშია, რომელიც თითქმის საუკუნენახევრის წინათ გაშენდა და დღემდე იქცევს მნახველის ყურადღებას. იგი ქალაქ სენაკის სამხრეთით მდებარეობს, ეს გახლდათ ყოფილი თავად მხეიძეების (ხეციების) სასახლის ეზოს მშვენება. გასული შფოთიანი საუკუნეების მაცნედ დღემდე შემორჩენილია უზარმაზარი ჭაობის კვიპაროსი, ანუ ტენის მოყვარე ხე, რომელიც ორ საუკუნეზე მეტია ამაყად აზიდულა ცისკენ. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტებმა სასახლე ჩამოართვეს თავადს და მის ბაზაზე შექმნეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და 1924 წელს გააშენეს ახალი სასწავლო კორპუსი, ხეივანი იმდენად მიმზიდველი იყო, ხელუხლებელი დატოვეს, მოიჭრა მხოლოდ გამხმარი ხეები, ჩაამატეს მოზარდები, მოეწყო ბილიკი, რომლის ორთავე მხარეს ოლიანდრები გაახარეს, რკინის თაღებიანი შესასვლელი კარი ჩამოკიდეს (კარი დღესაც შენარჩუნებულია). როგორც გადმოცემით ირკვევა, ეს იყო თავის დროზე ძალიან მიმზიდველი დასასვენებელი ადგილი.

კოლხებისთვის ბაღებისა თუ ხეივნების შექმნა სისხორციელია. ამის დასტურად ლეგენდად ქცეული მედეას ბაღის დასახელებაც კმარა. ნახეთ, როგორი გემოვნებითა და სისადავითაა შექმნილი ზუგდიდში დადიანთა სასახლის ეზოში მოწყობილი პარკი, სასეირნო გზებითა და ნაირნაირი ყვავილებით. მნახველის ყურადღებას იპყრობს სალხინოში, სალომე დადიანისა და აშილ მიურატის მიერ შექმნილი ხეივანი.

სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ სულის მშვენიერება ისეთი რამეა, რომელსაც მრავალი მოყვარული ჰყავს, იგი არასოდეს ჭკნება და ყოველთვის ჰყავს თაყვანისმცემელიო. იგივე ითქმის სენაკის ხეივანზე. ის არ გახლავთ მხოლოდ ჭადრების ან აკაციების მასივი, აქ შეხვდებით ცაცხვს, ფიჭვს, სოჭს, ტირიფს, ლუგუსტურუმს, წიწვოვანებიდან – კედარს, ნაძვს, ტუიას, მარაოსა და ფინიკიის პალმას, ოლეანდრას ბუჩქებს და სხვა იშვიათი ჯიშის ხე-ბუჩქებს. როცა ამ ჟამთა მხილველი ხეების ჩრდილქვეშ დააბიჯებ, რწმუნდები, რომ მშვენიერებას ზეცა და მიწა ქმნიან, რამეთუ, ზეციდან მოდის ნათება და მიწას ეფინება და აცისკროვნებს. ხეთა კორომში მიწამდე ძლივს აღწევს დაუდგრომელი მზის ნათელი სხივი. ეს ჩვეულებრივი ნათელი არ არის, ეს გახლავთ ათინათი, რომელიც ატყვევებს გრძნობასა და გულს, როცა შორიახლო შაშვები შეიჭახჭახებენ, ან ბუდიდან ახლად აფრენილი ბარტყები ჩაიფრთხიალებენ...

როცა მთისა და ბარის ჩიტების სტვენა-გალობა გესმის, უნებლიედ გაგონდება გალაქტიონის უკვდავი სიტყვები:

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე,

სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ.“

გასული საუკუნის სამოციან წლებში გადაწყდა ხეივნის ტერიტორიის გაზრდა. მოწესრიგდა საწრეტი არხები, ერთ ჰექტარზე დაირგო მარადმწვანე ხეები, მათ შორის პალვონია, გატარდა ღონისძიებები მოსწავლეთა მონაწილეობით, ეს ადგილი გამხდარიყო მიმზიდველი და დასასვენებლად კიდევ უფრო სასიამოვნო. როცა ამ უკვე ტანსრულ, ცადაზიდულ ხეებს შეჰყურებ, უნებლიედ გებადება აზრი, რომ ყოფიერების გამართლება მშვენიერებაა. მშვენიერება კი სულის სიკეთეა. რომელიც ქმნის ესთეტიკას.

ბატონები: გურამ გვასალია, თემური ძაძამია, ოთარი შენგელაია, ქალბატონები: ზაირა უჩანეიშვილი, ლია გოგია, მზისადარი ბჟალავა და სხვები იხსენებენ, როგორი სიყვარულით უვლიდნენ ხეივანს, რომელიც წლიდან წლამდე მშვენდებოდა, მოეწყო სკამები და გახდა შეყვარებულთა ნამდვილი **"თავშესაფარი"**, და არა მხოლოდ სენაკელთათვის. აქ ისმის ბავშვებისა და ახალგაზრდების მხიარული კისკისი და ჟრიამული. მართლაც გულგრილი ვერ დარჩება ყველაზე გულჩათხრობილი ადამიანიც კი.

სამოქალაქო ომის წლებში და შემდგომ, როცა განუკითხაობა და ქაოსი სუფევდა ქვეყანაში, ბნელმა ძალებმა მოისურვეს ტანსრული ხეების მოჭრა, დახერხვა და ფიცრებად საზღვარგარეთ გატანა. ეგონათ აუგ სურვილს შეისრულებდნენ. მოელაპარაკნენ ერთ თანამშრომელს, რომ ღამე მალულად მოხერხავდნენ, გაზიდავდნენ და თითო მოჭრილ ხეზე ას დოლარს გადაიხდიდნენ. ეს მაშინ დიდი ფული გამოდიოდა. გურამ გვასალია აღშფოთებით ყვება, თუ როგორ მოუხდათ ღამეების თევა, რათა გადაერჩინათ ხეივანი. გონიერებამ და საღმა აზრმა იმარჯვა.

იყო წლები, როცა ნაკლები ყურადღება ექცეოდა ხეივნის მოვლასა და პატრონობას, ამოიძირკვა ტალავრებში გაშლილი ვაზი. მაგრამ მალე აქ ჩამოყალიბდა პროფესიული კოლეჯი და ხელმძღვანელად დაინიშნა ქალ-ნი მანანა ჭანტურია, რომლის ინიციატივითა და თანამშრომელთა თანადგომით ახალი სიცოცხლე შეიძინა ამ ტერიტორიამ. დასუფთავდა გარემო. გაზაფხულზე სისტემატიურად კირის ხსნარით მუშავდება და დროულად ისხვლება ხეები, მოეწყო ბილიკები. დაირგო ნაირფერი ყვავილები. წელიწადის თითქმის ყველა დროს აქ ისვენებენ მოხუცები, ასეირნებენ პატარებს, საიდუმლოდ ჩურჩულებენ განმარტოვებით დამსხდარი ახალგაზრდები...

ერთხელ შევესწარი, როგორი გრძნობით ესაუბრებოდა ქალ-ნი მანანა ჭანტურია, ეზოს მომვლელს მურმან კუპრეიშვილსა და ინიციატივიან პედაგოგს მზისადარ ბჟალავას საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარებაზე. მაღალ ხეთა ჩრდილქვეშ მდგარი სამი ადამიანი, თითქოს ნაწილი იყო ამ საოცარი სამყაროსი. რომელსაც ბუნების რეალობა ქმნიდა. მათი ღიმილიანი თვალები ესათუთებოდა ყოველ ძირს, ყოველ მტკაველ მიწას.

მართლაც, აქ უნებლიედ ეჩურჩულები ღვთიურ ანგელოზს. ირგვლივ ფერთა მუსიკა იღვრება და ეს ჰარმონია გადმოდის ადამიანში. იმუხტები ულევი ენერგიით, გავიწყდება სევდა და ხალისიანი ხდები, სიცოცხლის მაჯისცემა ძლიერდება. გინდება იბზრიალო, ან ხმამაღლა შესძახო ცათა სასუფეველს; ჯადო ქმნილი ხარ, შენ, დედა ბუნებავ!

აქ ყოველივე წარსულს გაგონებს და შეგახსენებს, რომ ისტორია არ კვდება, რომ ის მეორდება. სწორედ ხელმეორე სიცოცხლე დაიბრუნა ხეივანმა, სამომავლოდ დაგეგმილია ლამპიონების მოწყობა და შემოგარენის განახლება.

სუფთა ჰაერი და ანკარა წყარო, მზის სხივები და ყვავილების არომატი, მსუბუქი სიო და დილის ნამი, ფრინველთა გალობა და მობიბინე ბალახი – ეს ის ძარღვია, რომელიც ადამიანს ბუნებასთან, გარე სამყაროსთან აკავშირებს. ყოველივე ამის გარეშე შეუძლებელია არსებობა. სამწუხაროდ, შეიცვალა ჩვენს გარშემო გარემო, სკვერების ნაცვლად ყველგან ავტოსადგომებია, შენდება მაღალსართულიანი შენობები. ბარბაროსულად ვექცევით ბუნების მშვენიერებას. უმოწყალოდ იჩეხება ხეები, ტოქსიკური გამონაბოლქვისაგან დამტვერილია ჰაერი, ცელოფნის პარკები და ბოთლებია მიმოფანტული საზოგადოების თავშეყრის ადგილებში...

მოდით სათავისოდ გავიხადოთ ბუნების მოვლა, მივბაძოთ სენაკის პროფესიული სასწავლებლის კოლექტივს, რომელიც ახლა შ. მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს. რექტორია ნათია ხუფენია, პროფესიული მიმართულების ხელმძღვანელი – მანანა სამუშია. აქ არა მხოლოდ პროფესიული სწავლებაა მაღალ დონეზე, არამედ ახალგაზრდების ესთეტიკური და სამართლებრივი აღზრდა. მისაბაძია უნივერსიტეტის რექტორის ნათია ხუფენიას ინიციატივა, წლეულს, ზაფხულში ხეივანში მოეწყოს რაიონის ახალგაზრდობისათვის მუსიკალური საღამო.

სწორედ ეს იქნება მკაფიო მოწოდება გარემო ბუნების დაცვისადმი, მაგალითი იმისა, გავუფრთხილდეთ ჯამრთელობას, სიცოცხლესა და სიყვარულს. რაც გახლავთ წარმატებული სწავლის ერთ-ერთი გარდუვალი პირობა.

ბორის დავითაია,

აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

რუსეთი საბჭოთა კავშირში დაბადებულთათვის გრინ-ქარდის შემოღებას აპირებს

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში (პარლამენტში) ამზადებენ კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც სსრკ-ის ყოფილი მოქალაქეები მიიღებენ ამერიკული **"გრინ-ქარდის"** ანალოგს – ე.წ. რუსულ ბარათს.

კანონპროექტმა, რუსი კანომდებლების აზრით, უნდა გააერთიანოს რუსები, რომლებიც რუსეთის საზღვრებს გარეთ აღმოჩნდნენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აგრეთვე, გაამყაროს ენობრივი, ნათესაური კავშირები და დაიცვას რუსი ხალხის ფასეულობები უცხოეთში.

ყოფილი თანამემამულეები, რომლებსაც გადაეცემათ ასეთ ბარათი, სავარაუდოდ, მიიღებენ დამატებით შესაძლებლობებს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე: ქვეყანაში უვიზოდ შესვლის, უფასო განათლების, სამედიცინო დახმარების უფლებას და სხვ.

ერთ-ერთი პირობა, რომლის დაცვის შემთხვევაში **"რუსული ბარათი"** გაიცემა სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელზე, არის მტკიცებულება პირდაპირი ნათესაობისა რუსებთან ან სსრკ-ის მოქალაქეებთან, ანუ **"რუსული ბარათის"** მიღების კანდიდატის მამა, დედა, ბებია ან ბაბუა უნდა იყოს საბჭოთა კავშირის მოქალაქე ან თვითონ კანდიდატს წარსულში უნდა ჰქონდეს საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა.

კიდევ ერთი პირობაა რუსული ენის კარგად ცოდნა. ამასთანავე, კანდიდატი არ უნდა ეწეოდეს ისეთ მოღვაწეობას, რომელიც მიმართული იქნება რუსეთისა და რუსი ხალხის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური კანონი არის სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, მსგავსი კანონი მიიღეს პოლონეთის, სლოვაკეთისა და სხვა ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებმა.

თუ რუსეთის პარლამენტი კანონპროექტს დაამტკიცებს, პირველი **"რუსული ბარათი"** უკვე 2018 წლიდან გაიცემა.

ეს ძმები გრიმების ოცნებას უფრო ჰგავს – *რას წერს Guardian სვანეთის შესახებ*

ბრიტანული გამოცემა The Guardian სვანეთის შესახებ სტატიას აქვეყნებს. ჟურნალისტი კლო ვაითი უშგულს აღწერს და წერს, რომ კავკასიის მთებში უშგული ზღვის დონიდან 2.100 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს და ყველაზე მაღალი დასახლებული ადგილია ევროპაში.

ჟურნალისტი სვანეთში მოგზაურობას იხსენებს და აღწერს, რომ ის სამი დღის განმავლობაში ციცაბო, კლდოვან გზაზე დაძვრებოდა. თუმცა ბოლოს, მეწყერისა და ტალახისგან გათავისუფლების შემდგომ, დანიშნულების ადგილზე ჩავიდა.

„ორ ციცაბო მთაში ჩაფლული ზურმუხტისფერი გარემო, ბროლივით ნათელი, გამყინვარე ცივი წყალი და უზარმაზარი ხავსიანი ქვებით ნაშენი კოშკები. ცხენებზე შემსხდარ ბავშვებს ადევნებული ძაღლები, ტალახიანი ორღობეები და ძროხების საწველად მიმსხდარი მოხუცი ქალები. ეს ძმები გრიმების ოცნებას უფრო ჰგავს. შხარა საქართველოს ყველაზე მაღალი მწვერვალია, რომელიც 5000 მეტრ სიმაღლეზე მაღლა მდებარეობს და აგვისტოშიც ყველაზე სქელი თოვლის საფარი დევს", – წერს ბრიტანული გამოცემა The Guardian.

მედიის თანახმად, მიუხედავად დისტანციური ადგილმდებარეობისა, სოფელი ტურისტულ მომსახურებას მისი მკაფიო ხასიათის დაკარგვის გარეშე ახერხებს. გამოცემა წერს, რომ კერძო სახლების გაქირავების გარდა, კარვების ადგილებიც არის, სადაც ქართული ტრადიციული კერძებით ემსახურებიან, მათ შორის ქართული ღვინით, ხაჭაპურითა და არომატული წვნიანით. როგორც Guardian წერს, გარდა ამისა, კიდევ ორი მცირე **"ეთნოგრაფიული"** მუზეუმი არსებობს.

ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

და კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი წვრილმანი. 1933 წლის 10 მარტს საკავშირო კომპარტიის (ბ) სამდივნომ ბერია ჩასვა სიაში, რომლითაც ცენტრალური კომიტეტის წევრებს ეგზავნებოდათ სხვადასხვა სახის მასალები – პოლიტბიუროს, ორგბიუროს და ცეკას სამდივნოს და სხდომის ოქმები. მაგრამ ბერია მხოლოდ 1934 წელს იქნა არჩეული ცეკას წევრად, საკავშირო კომპარტიის (ბ) XVII ყრილობაზე.

რამ განაპირობა მის მიმართ ამგვარი ნდობის ავანსი?

სტალინს მოეწონა?.. კობას პიკნიკი მოუწყო შავი ზღვის ლაჟვარდოვან სანაპიროზე?.. თანამედროვე "ანალიტიკოსები" სწორედ ამგვარ ვერსიებს გამოთქვამენ ლავრენტი პავლეს ძე ბერიას დამსახურებათა თაობაზე მეოცე საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, როცა ცდილობენ მაქსიმალურად დაუახლოვონ ერთმანეთს ისინი და 90-იანი წლების ელცინისეული პოლიტბომონდის მისწრაფებები. მთავარში ცდებიან – ბერიასათვის ელცინი ძალიან ძველმოდური იქნებოდა, სტალინისათვის კი ყოველმხრივ მიუღებელი.

გარდა ამისა, "ანალიტიკოსებს" აშკარად დათვურ სამსახურს უწევს ბელადის სიძლიერისა და მისი ეპოქის ზნეობათა ცოდნაში არსებული ხარვეზები. და იმ პერიოდში ხომ არც სტალინი გახლდათ ბელადი. 1934 წელს, საკავშირო კომპარტიის (ბ) XVII ყრილობაზე სწორედ ხრუშჩოვმა უწოდა პირველად სტალინს "გენიალური ბელადი". 1939 წელს გამოცემულ კრებულში "სტალინი. დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით", ხრუშჩოვი წერდა: "სტალინი, თავისი უბრალოებით – ხალხის მეგობარია. – სტალინი, თავის სიყვარულში, ხალხის მამაა, სტალინი – თავისი სიბრძნით, ხალხის ბელადია და წინ მიუძღვის მას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში...". პარტიის ყრილობებსა და სხვა ფორუმებზე სტალინს ხრუშჩოვი მოიხსენიებდა როგორც გენიოსს, დიდ შემოქმედს, მასწავლებელს.

და რა ხდებოდა ოცდაათიანი წლების დასაწყისში?.. არქივში შემონახულია სტალინისა და კაგანოვიჩის მიმოწერა, რაც ყველასათვის საინტერესოა: შინაარსით, წერილის სტილით, მიმართვების ხასიათით. და კიდევ ერთი წვრილმანით. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ლამის სენსაციურით.

1931 წლის შემოდგომაზე სტალინი სოჭში ისვენებდა და თან სახელმწიფოს საქმეებს უძღვებოდა.

აი, 1931 წლის 19 სექტემბრით დათარიღებული მისი წერილი:

"გამარჯობათ, ამხანაგო კაგანოვიჩ!

მიმდინარე პერიოდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმედ მიმაჩნია ტრანსპორტი, უპირველესად – სარკინიგზო ტრანსპორტი.

სწორედ ტრანსპორტის მხრიდან ემუქრება საფრთხე სახალხო მეურნეობის ჯანმრთელობას და ამიტომ, უპირველესად, ტრანსპორტს უნდა ვუმკურნალოთ. ცენტრალური კომიტეტის დეკრეტებით საქმეს არაფერი ეშველება, თუმცა, მათაც გარკვეული მნიშვნელობა გააჩნიათ. რატომ? იმიტომ, რომ ვიდრე ტრანსპორტის სისტემაში მოკალათებული არიან რუხიმოვიჩის ტიპის თვითკმაყოფილი ბრიყვები, რომლებიც ტროცკისტული სულისკვეთებით იგდებენ აბუჩად ცეკას დადგენილებებს და გარშემო თესავენ დამანგრეველ სკეპტიციზმს, ცეკას დადგენილებები ტუალეტის ქაღალდად თუ გამოდგებიან.

საჭიროა ამ ბანდის განადგურება, რათა გადავარჩინოთ რკინიგზის ტრანსპორტი. თუ ამ საქმეში ჩემი დახმარება დაგჭირდებათ, მომმართეთ. თუ ჩემი დახმარების გარეშე იოლად გახვალთ, მაშინ გაანადგურეთ ეს ბანდა, ვიდრე გვიანი არ არის. ჩვენს პარტიაში ყოველთვის მოიძებნებიან საქმიანი ადამიანები, რომლებიც ჩაანაცვლებენ ამ ბიუროკრატებს.

მოგესალმებით,

ი.სტალინი"

თითქოსდა დირექტივა მიღებულია. დარჩა მისი აღსრულება და შემდეგ – მოხსენება. სწორედ ასე გვისახავდნენ ჩვენ ქვეყნის სტალინური მართვის ალგორითმს: უმოწყალოდ მოქმედებას, ტირანულ წესს და ა.შ. რბილად რომ ვთქვათ, არასწორად გვისახავდნენ.

აი, სტალინის დეპეშა, რომელიც მან გაუგზავნა ვ.მ. მოლოტოვს, ლ.მ. კაგანოვიჩს, გ.კ. ორჯონიკიძეს, 1931 წლის 27 სექტემბერს:

კაგანოვიჩს, მოლოტოვს, ორჯონიკიძეს.

კატეგორიულად ვეწინააღმდეგები რუხიმოვიჩის დანიშვნას საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ ან სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭოს ხელმძღვანელად. თუ შეიძლება, ერთი კვირით მაინც გადასდეთ ეს საკითხი. სასურველია იგი გააგზავნოთ რომელიმე სამეურნეო სფეროში, მოსკოვიდან შორს.

აქ ორი აზრის არსებობა გამორიცხულია: სტალინი, უბრალოდ, განრისხებულია, ამიტომ, ელოდე რეპრესიებს...

მაგრამ არა. აი, სტალინის მომდევნო წერილი, რომელიც მან 1931 წლის 4 ოქტომბერს გაუგზავნა ლ.მ. კაგანოვიჩს:

გამარჯობათ, ამხანაგო კაგანოვიჩო!

წერილი მივიღე.

არასასიამოვნოდ გაოცებული ვიყავი მოლოტოვის წერილით, რომელიც მთხოვდა, რომ ამხ. რუხიმოვიჩი დამენიშნა საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ და, ამასთან, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. იმიტომ, რომ რუხიმოვიჩი სამარცხვინოდ ჩაფლავდა რკინიგზის სახალხო კომისარიატში და მიჭყავდა (ახლაც მიჭყავს) ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზის ლანძღვა-გინების კამპანია, იგი უნდა დავაწინაუროთ საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ? ეს ხომ მტკნარი სისულელეა!? განა შეიძლება კადრების ასე აღზრდა? ვერაფერს იტყვი – შესანიშნავი "აღზრდაა"!

იგივე უნდა ითქვას სერგოს წინადადებაზე, დაგვენიშნა რუხიმოვიჩი სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილედ. ამ ხალხს ვერ შეუგნია, რომ ფაქტიურად რუხიმოვიჩი არის ფრუმკინი №2, იმ განსხვავებით, რომ რუხიმოვიჩი ბევრად საშიშია, რადგან იგი ცენტრალური კომიტეტის წევრია. მე უკვე მივწერე სერგოს ამის თაობაზე.

რუხიმოვიჩი უნდა დავაქვეითოთ და გავუშვათ სადმე, მოსკოვის ფარგლებს მიღმა, სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭოს სისტემაში სამუშაოდ. მაშინ ყველა მიხვდება, რომ ცეკა არ ხუმრობს და არავის აპატიებს პარტიის ხაზიდან გადახვევას. მიხვდებიან და საქმეს მიხედავენ.

რუხიმოვიჩი არც "დააქვეითეს" და არც არსად "გააგზავნეს". როგორც ჩანს, სტალინი "გააგზავნეს" სადაც ჯერ არს! რუხიმოვიჩი აღმოჩნდა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილის სავარძელში, მოსკოვში, ორჯონიკიძესთან. 1934 წელს კი იგი გახლდათ ანტისტალინური შეთქმულების მონაწილე.

აი, ასეთი "კადრები" მართავდნენ ქვეყანას, რომელთათვისაც მთავარი პოლიტიკური თამაშები გახლდათ და არა ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვა.

ლ. ბერია აშკარად ამოვარდნილი იყო ამ სიიდან.

ყოველი შემთხვევისათვის, პოლიტიკური ინტრიგების კუთხით. ამიტომ, ლავრენტის სამთავრობო სამსახურეობრივი წინსვლა მისთვის არ წარმოადგენდა თვითმიზანს. ხოლო თუ იგი საკუთარ კარიერაზე ზრუნავდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყანაში დიდი მშენებლობები **ეწარმოებინა!**

არქიტექტორი

"სახელმწიფო მოღვაწეს გული თავში უნდა ჰქონდეს".
ნაპოლეონი

მოდით, ასე მოვიქცეთ. ლავრენტი ბერიას მოღვაწეობის ობიექტურმა და ყურადღებიანმა მკვლევარებმა, ოფიციალურ საბუთებზე დაყრდნობით, გამოიკვლიეს და მოამზადეს თავისებური ანგარიში ამ ადამიანის საქართველოს ხელმძღვანელ პოსტზე მუშაობის პერიოდზე – 1931-1938 წლები. ავტორებმა მინიმუმამდე დაიყვანეს სუბიექტური შეფასებები და პრიორიტეტი მიანიჭეს ფაქტებსა და ციფრებს. სტატისტიკა კი (რა თქმა უნდა – წესიერი და ობიექტური) ყველაზე მარჯვე ბელეტრისტია. ამიტომაც გირჩევთ ყური მიუგდოთ სტატისტიკას, რომელიც შეულამაზებლად არის გადმოცემული ამ ანგარიშში.

მაშ ასე, საქართველოს ახალი ხელისუფლებისათვის პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს, შემდეგ კი მთელი ამიერკავკასიის მოსახლეობის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა. ხალხი დასაპურებელი იყო.

როცა ლავრენტი ბერია საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად აირჩიეს, საქართველოს სოფლის მეურნეობა იმავე ადგილს ტკეპნიდა, რომელზეც იგი იდგა კოლექტივიზაციამდე. თუ მიწა არ არსებობს, ესე იგი მიწა არ არსებობს. საქართველოში საერთოდ არ ჰქონდა აზრი კოლმეურნეობების შექმნას, თუ მეურნეობის გაძღოლის ძველ სისტემაზე არ იტყოდნენ უარს. და მაშინ, საქართველოს ახალგაზრდა უმაღლესმა ხელისუფალმა (ბერია მაშინ მხოლოდ 32 წლისა იყო) გადაუხვია "გენერალურ ხაზს" და რაც ყველაზე საოცარია, მოსკოვს მისთვის ხელი არ შეუშლია. გაირკვა, რომ ეს პიროვნება, როგორც სამეურნეო დარგის ხელმძღვანელი, ისეთივე ღირებული გახლდათ, როგორი ღირებულიც ჩეკისტიც იყო.

მაგრამ დასაწყისისათვის აუცილებელი იყო, რომ რესპუბლიკა გამხდარიყო მართვადი. მაგრამ როგორ უნდა მიაღწიო ამ მიზანს, თუ ყველა რეგიონული ხელმძღვანელი საქმეს უძღვება მხოლოდ მისი კლანის ინტერესების გათვალისწინებით. ეს საკითხი ბერიამ მარტივად გადაწყვიტა – ის რაიკომის მდივნები, რომლებიც ანგარიშს არ უწევდნენ ცენტრის მოთხოვნებს, მან პოლიტიკური სამმართველოს ყოფილი კადრებით შეცვალა. დეკანოზოვი გახდა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. გოგლიძე საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნა. მერკულოვმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში გადაინაცვლა.

უკვე 1931 წლის დეკემბერში ბერიამ მოახდინა საკოლმეურნეო ცენტრების ლიკვიდაცია და იგი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატით ჩაანაცვლა. თითქოსდა ნომინალური ცვლილებაა, მაგრამ მაინც საკმაოდ მრავლისმთქმელია, რადგან 1931 წელს კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხური მეურნეობების მხოლოდ 36 პროცენტი, ისიც ძველი ხელისუფლების მიერ მკაცრი ადმინისტრაციული ზომების გატარების შედეგად. რესპუბლიკის ახალმა ხელმძღვანელმა აჩვენა, რომ სრულიადაც არ აპირებდა გლეხობის სრულად შეყვანას კოლექტივებში – რამდენიც არის გაწევრიანებული კოლმეურნეობებში, იმდენი იყოს!

შემდეგ კი მან გენიალური სვლა მოიფიქრა. მართლაც, საქართველოში ხორბლის მოყვანას აზრი არ ჰქონდა – სულ ერთია, სოფლის მეურნეობა მაინც ვერ გამოკვებავდა მთელ მოსახლეობას. ამის შემდეგ კოლმეურნეობებში აღარავის ერეკებოდნენ. გარდა ამისა, რუსეთის მეურნეობებისაგან განსხვავებით საქართველოში გლეხებს პირად სარგებლობაში გადასცეს მიწის ნაკვეთები – იქ მოყვანილი მოსავალი გლეხის ოჯახს უნდა ჰყოფნოდა და ნაწილი უნდა გაეყიდა კიდეც. კოლმეურნეობებში კი ხელი მიჰყვეს არა ხორბლეულის და ბოსტნეულის მოყვანას, არამედ შეუდგნენ იმ კულტურების მოშენებას, რომელიც რუსეთში არ მოდიოდა – ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ელიტური ხარისხის ყურძენი. პური? პურის ყიდვა რუსეთშიც შეიძლება, თუ მასთან ღვინითა და მანდარინით ვივაჭრებთ!

ძირითად კულტურად ჩაი იქცა.

გაზეთში "სრულიად საიდუმლო", რომელშიც ამ წიგნის ავტორს მოუწია მუშაობა, გამოქვეყნდა ქართველი ჟურნალისტის მიხეილ ჩერქეზიას ინტერვიუ, რომელიც მან ლავრენტი ბერიას მძღოლს მიხეილ მელიქაშვილს ჩამოართვა. აი, რას იხსენებდა მძღოლი:

"1934 წლის მაისში მე გამგზავნეს რკინიგზის სადგურის უფროსთან. იქ მანქანაში ჩამისვეს ორი ელეგანტურად გამოწყობილი ახალგაზრდა, რომელთაც ცხრა ტყავის ჩემოდანი მოჰქონდათ.

მე ისინი ლავრენტი ბერიასთან მივიყვანე, ჩემოდნები კი კომენდატურაში ჩავაბარე. მეორე დღეს ბერიამ გამოიძახა დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიკომის მდივანი და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მე კი მიბრძანა ჩემოდნების მოტანა.

– ყურადღებით მომისმინეთ, – მიმართა შეკრებილებს შეფმა, – ამ ჩემოდნებში უნიკალური ჯიშის მცენარეთა ნერგებია. ყველა რაიონი თითო ჩემოდანს წაიღებს. ერთ წელიწადში დავათვალიერებ თქვენს პლანტაციებს. ვისაც თუნდაც ერთი ცალი ნერგი გაუხმება, კარგი დღე არ დაადგება.

შემდეგ ლავრენტი ბერიამ მითხრა, რომ ეს ნერგები ჩვენმა დაზვერვამ მოიპოვა და მალულად გადმოიტანა ცეილონიდან, სადაც ამგვარი დანაშაული სიკვდილით ისჯებოდა..."

ამ მონათხრობში კიდევაც რომ იყოს რომანტიკული ლეგენდის ნაწილი (რას იზამ, კავკასიელებს ეხერხებათ ფაქტების შელამაზება), იგი მაინც გვარწმუნებს, თუ როგორმა ახალმა სიომ დაჰბერა საქართველოში ბერიას იქ მისვლის შემდეგ.

ჩაი საქართველოში ადრეც მოჰყავდათ – მაგრამ იგი არ ითვლებოდა ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად. ახლა კი მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩაისა და მანდარინის პლანტაციები, აამაღლეს მიწათმოქმედების კულტურა, გამოიყვანეს და გააშენეს ახალი ეკზოტიკური ჯიშები. ხოლო, ვიდრე ახალი კულტურები მოსავალს მოგვცემდნენ, ადამიანები რომ არ დამშეულიყვნენ, მათ გაუზარდეს საკარმიდამო ნაკვეთების ფართი.

ორი წელი დასჭირდა მოსამზადებელ სამუშაოებს და 1933 წელს დაიწყო სოფლის მეურნეობის მოცულობის განუხრელი ზრდა. *"ბერიას მმართველობის ჟამს საქართველო გადაიქცა ქვეყნად,* რომელიც აწარმოებდა უმაღლესი ხარისხის სოფლის მეურნეობის კულტურებს და ამზადებდა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, – წერს იმ ეპოქის მკვლევარი ალექსეი ტოპტიგინი. – *ბერიამ კარგად იცოდა მართვის სხვადასხვა მეთოდების ფასი. ცალკეული კულტურების გაშენებას ეძღვნებოდა ცენტრალური კომიტეტის პლენუმები, ტარდებოდა გლეხთა ყრილობები, გამოფენები. აქტიურად ამოქმედდა სოციალისტური შეჯიბრების ფენომენი, გაზეთები პირველ გვერდზე ბეჭდავდნენ წარმოების მოწინავეთა პორტრეტებს. ბერიამ კარგად იცოდა კოლმეურნეთა მატერიალური სტიმულირების ძალა".*

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,
(გაგრძელება იქნება)

ᲡᲞᲔᲪᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲘᲨᲘᲡᲬᲣᲠᲘ ᲕᲘᲠᲔᲨᲛᲐᲙᲝᲑᲐ

ყველამ, ვინც ქართულ პოლიტიკას თვალს ადევნებს, იცის ან ხვდება, რომ ყოფილი პრეზიდენტი და, საერთოდ, ყოფილი მმართველი პარტიის ყოფილი თუ მოქმედი წევრები პოლიტიკური ვირეშმაკობის დიდოსტატები არიან, ანუ, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ამ ადამიანებს ხელეწიფებათ, შაგზე ისე ოსტატურად თქვან, თეთრიაო, რომ საზოგადოების ნაწილმა მართლაც დაიჯეროს, შავი შავი კი არა, თეთრი ყოფილაო. სხვათა შორის, ამ ვირეშმაკობის მსხვერპლი თავის დროზე, კერძოდ, 2001 წელს, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოც გახდა: ალბათ, გახსოვთ, მაშინ პარლამენტის სპიკერი უნდა აერჩია და, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. რეფორმატორები უმცირესობაში იყვნენ, იმდროინდელ მმართველ გუნდს, ესე იგი, შევარდნაძის გარემოცვას **„საპროცედურო ცეცხლი"** გაუხსნეს და, ბოლოს, თავისი მაინც გაიტანეს – პარლამენტის თავმჯდომარედ ნინო ბურჯანაძე წამოსვეს.

ახლა, შეიძლება, გაგიკვირდეთ და იკითხოთ, ეს **„ადამ-კუკუსდორინდელი"** ამბავი რაში გაგახსენდათო, მაგრამ თუ ბოლო მოვლენების განვითარების ჯაჭვს გავაანალიზებთ, ამასთან, კულუარულ ინფორმაციებსაც მოვიშველიებთ, გაჩნდება გონივრული ეჭვი, რომ **„ყოფილებმა"** რაღაც ჩაიფიქრეს.

რა შეიძლება იყოს ეს **„რაღაც"**? – ეს კითხვა **„ვერსიამ"** იმ ადამიანს დაუსვა, რომელიც ქართული და, მათ შორის, ყოფილი მმართველი პარტიის კულუარებში კარგად ერკვევა.

„ბუნებრივია, ჩემი ნათქვამი სიმართლის ბოლო ინსტანცია ვერ იქნება, მაგრამ ვფიქრობ, ე.წ. მოსამართლეების სკანდალი, თავიდან ბოლომდე, ნაციონალების მოწყობილია, თუმცა ვიდრე ამის შესახებ დეტალურად გესაუბრებით, ჯერ იმას გეტყვით, რომ ნაციონალები კი არ დაიშალნენ, არამედ, გაიშალნენ ანუ იმის თქმა მინდა, რომ უგულავა-ბოკერიას ცალკე პარტიად ტრანსფორმირება მიშასთან შეთანხმებით მოხდა. საერთოდ, სააკაშვილს ასეთი თამაშები სჩვევია. გავიხსენოთ თუნდაც 90-იანი წლების ბოლო, როცა სააკაშვილი და ცხონებული ჟვანია მოქკავშირიდან წავიდნენ და ცალ-ცალკე პარტიები შექმნეს. მერე კი, „ვარდების რევოლუციას" სათავეში ერთად ჩაუდგნენ. ბოლოს, ჟვანიას პარტიამ არსებობა შეწყვიტა და ნაცმოძრაობას შეუერთდა", – ამბობს **„ვერსიის"** კონფიდენტი, რომელიც ეჭვობს, ახალი პარტია – ევროპული საქართველო და, ასევე, **„მოსამართლეების სკანდალი"**, თავისი ფარული ჩანაწერებითურთ, სწორედ ძველ სცენარში ჯდება.

„ვერსიის" წყაროს მოსაზრებას ისიც აძლიერებს, რომ მოქმედი და ყოფილი ნაცები, როგორც თავად ამბობენ, ისეთ პრინციპულ საკითხებზე, როგორიც, მაგალითად, საქართველოს ევროინტეგრაცია და, ასევე, **„ოცნების"** ხელისუფლების შეცვლა, აუცილებლად ითანამშრომლებენ.

„ეს გაშლა, ჩემი აზრით, კიდევ ერთ მიზანს ემსახურება – მართალია, ისეთი ოდიოზური ფიგურები, როგორიც ვთქვათ, ძმები ახალაიები ან, სულაც, მეგის ქარდავაა, არენაზე აქტიურად აღარ ჩანან, მაგრამ ხალხს მათი სისასტიკე მაინც ახსოვს. კი ბატონო, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ოცნება" მოვიდა, სოციალური ფონი დამძიმდა და ცხოვრებაც გაჭირდა, მაგრამ სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ადამიანის უფლებები, ბოლო წლებში, მეტ-ნაკლებად დაცულია ანუ ხალხს ქუჩაში „უპრაგონოდ" აღარ ხოცავენ და ნულოვანი ტოლერანტობაც წარსულს ჩაბარდა. ამ ფონზე, ნაციონალებს წინა პლანზე ისევ ახალაიები და, ზოგადად ძველი სახეები რომ გამოეყვანათ, ეს მოსახლეობას ძველ იარებს გაუხსნიდა და ნაციონალებს სულ სიმართლე რომ ეღაღადათ, მათ ნათქვამს ჩალის ფასიც არ ექნებოდა. ახლა კი განსხვავებული ვითარებაა ანუ ისეთი ანტურაჟი შეიქმნა, იგივე მიშას „ჯართს" თავად უგულავა ეძახის და იმ ყბადაღებულ 9 წელს თავად ისინი აგინებენ, ვინც რეჟიმის შექმნის ავანგარდში იდგნენ. ამას გარდა, ბოკერია-უგულავას ფრთამ, რომელიც ნაცებს თითქოს გამოეყო, მეტ-ნაკლებად სიმპათიური ახალი სახეები შემოიკრიბა. ავიღოთ, მაგალითად, ელენე ხოშტარია, რომელზეც ვერავინ იტყვის, რომ რეჟიმს „აპრავებდა". მასზე არც სხვა სახის კომპრომატები არსებობს. ასევე, ამ გუნდიდან ხშირად ჩანს ტელეკამერების წინ ირაკლი აბესაძე, რომელიც პარლამენტარობამდე, საკრებულოს წევრი იყო, ანუ, არც მასზე არსებობს რამე შოკისმომგვრელი კომპრომატი. სამაგიეროდ, თუ მიაქცევთ ყურადღებას, იგივე ირმა ნადირაშვილი იშვიათად ჩნდება, რაც ვფიქრობ, ყოფილი მმართველი გუნდის ტაქტიკაა.

ისე, მსგავსი ტაქტიკა ნაციონალებმა 2007 წლის 7 ნოემბრის მერეც გამოიყენეს – მაშინ მაია ნადირაძე, დავით კირკიტაძე და იგივე გიგა ბოკერია, ესე იგი, ის „ტიპები", ვინც ხალხს ყველაზე მეტად აღიზიანებდა, თვალს მოაფარეს და აქცენტი ახალ სახეებზე გააკეთეს – თუ გახსოვთ, 2008 წლის ვადამდელ არჩევნებზე ნაცებმა რამდენიმე რაიონში მეცნიერები და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები დაასახელეს მაჟორიტარებად", – აღნიშნავს **„ვერსიასთან"** ოპერატიულ კავშირზე მყოფი პიროვნება და აქვე დასძენს, რომ უგულავა-ბოკერიას მიერ ახალ პარტიაში ტრანსფორმირებაც, დიდი ალბათობით, ძველი ტაქტიკის ერთგვარი რიმეიკია.

ყველა ზემოხსენებული ვერსია, შესაძლოა, უტოპიურია, მაგრამ ლოგიკაში ნამდვილად ჯდება, მით უმეტეს, **„ვერსიას"** ეუბნებიან, რომ გადამწყვეტ მომენტში ნაციონალებმა, ბოკერია-უგულავას ახალმა გუნდმა, ასევე **"გირჩმა"** და იგივე გიორგი ვაშაძის პარტიამ შესაძლოა, ერთგვარი კოალიცია შექმნან და **„ოცნებაზე"** იერიში გაერთიანებული ძალებით მიიტანონ. სხვათა შორის, **„ვერსიამ"** ყურადღება იმ გარემოებასაც მიაქცია, რომ მიშას **„სასტავი"** ვაშაძის მიმართ გარკვეული სიმპათიით გამოირჩევა.

„გიორგი კაცია და ზუსტად ვიცი, „ოცნების" წინააღმდეგ ბარიკადებზე ჩვენთან ერთად იქნება!" – ეს ფრაზა **„ვერსიასთან"** ტეტ-ა-ტეტ საუბრისას, ერთ-ერთ ნაციონალს ჯერ კიდევ მაშინ წამოსცდა თუ შეგნებულად თქვა, ვიდრე უგულავა ციხიდან გამოვიდოდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასაშვებია, რომ იგივე თვითმმართველობის არჩევნებზე გაშლილი ნაციონალები ერთიანი ძალებით გამოვიდნენ, თუმცა **„ვერსიას"** ეუბნებიან, რომ გაშლილი ყოფილი მმართველი პარტიის გაერთიანებას უფრო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის უნდა ველოდეთ.

„ადგილობრივი თვითმმართველობა, რასაკვირველია, ხელწამოსაკრავი ინსტიტუცია არ არის ანუ, თუ რეგიონებზე „ოცნება" გავლენას დაკარგავს, საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობა გინდ ჰქონია და გინდ – არა, მაგრამ სააკაშვილის სტრატეგია სხვანაირია. კერძოდ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ მოსახლეობას „ოცნების" გაგონებაც აღარ უნდოდეს. იმ დროისთვის, არსებული გეგმით, იგივე უგულავა-ბოკერიას პარტიაც ფეხზე უფრო მყარად იდგება და ხელისუფლებაში მოსვლას ენერგიულად შეეცდება. სხვათა შორის, ამ გეგმაში ახალი არაფერია, რადგან ჯერ კიდევ 2004 წელს, ნაციონალები პირად საუბრებში ამბობდნენ, ხელისუფლებაში ორი ვადით ვიქნებით, მერე, ორი ვადით პოსტებს სხვებს დავუთმობთ, აი, ამის შემდეგ კი დავბრუნდებით და ქვეყანას, მინიმუმ, 30 წელი ვმართავთო. ჩემი დაკვირვებით, ყველაფერი სწორედ ამ სცენარით მიდის", – ეუბნება **„ვერსიას"** კონფიდენტი, რომელიც ბოლოდროინდელ ე.წ. მოსამართლეების სკანდალსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ კონტექსტში განიხილავს ანუ ფაქტების ანალიზიდან გამომდინარე, ავითარებს ვერსიას, რომ **„მოსამართლების სკანდალი"** წმინდა ნაციონალური პროვოკაციაა.

„გასაგებია, რომ ყველაფერი ხელისუფლების ზეწოლას ჰგავს, მაგრამ აბა, დააკვირდით და „ოცნებიდან" ერთი ადამიანი მაინც დამისახელეთ, რომელსაც ასეთი ინტრიგის მოწყობის საშუალება კი არა, თავი აქვს? იქიდან გამომდინარე, რომ მთელ პოლიტიკურ სპექტრს კარგად ვიცნობ, შემიძლია, ასპროცენტიანი სიზუსტით გითხრათ, რომ „ოცნება" ასეთ ინტრიგას ვერ დახლართავს. ამ ეჭვს ფარული ჩანაწერებიც მიმძაფრებს. ახლა, ჩვენთვის რომ ვთქვათ, მათ, ვინც ამ ჩანაწერებში ფიგურირებენ, განა, არ იციან, რომ საუბრები შეიძლება, იწერებოდეს და საჯარო სივრცეში აღმოჩნდეს? – ყველაფერ ამას ხომ თავის დროზე თვითონ აკეთებდნენ. ჰოდა, როგორ წარმოგიდგენიათ, ადეიშვილი, ან დავით საყვარელიძე ისეთი გულუბრყვილოა, რომ ერთს ტელეფონში მოსყიდვაზე ელაპარაკა, მეორეს კი მოსამართლეებისთვის მუქარის წერილები გაეგზავნა? მაგრამ, ყველაფერი ეს ისეა შეფუთული, რომ კვალი „ოცნებამდე" მივიდეს. საერთოდ, როცა მსგავსი რაღაცები ხდება, პასუხისმგებელი, ცხადია, ხელისუფლებაა. ავიღოთ თუნდაც საიტი „უკრაინული რევოლუცია", რომელზეც ეს ფარული ჩანაწერები ქვეყნდება. ისე არ გამიგოთ, რომ „ოცნების" ადვოკატი ვარ, მაგრამ რომ გაიძახიან, ეს საიტი ხელისუფლების კონტროლის ქვეშააო, რატომ არავინ კითხულობს, იგივე ნაციონალებს რატომ არ შეუძლიათ, რამე საიტი შექმნან, რომლის ოფისიც მოსკოვში იქნება? – ყველაფერი ეს ხომ, უბრალოდ, პიარტექნოლოგიის საქმეა, რაშიც მიშა და მისი „სასტავი" ნამდვილად პროფესიონალები არიან", – ამბობს **„ვერსიის"** კონფიდენციალური თანამოსაუბრე, რომელიც ყურადღებას კიდევ ერთ დეტალზე ამახვილებს.

კერძოდ, კარგა ხანია, ყოფილი მთავარი პროკურორი არენაზე აღარ გამოჩენილა და, როგორც ამბობენ, ის არც ნაცებისა და არც მათგან წასულების პოლიტიკურ საქმიანობაში არ ერევა. ჰოდა, ამ ფონზე, ბუნებრივია, საკითხავია, უცებ რატომ გადაწყვიტა ადეიშვილმა, რომ თამაშში ჩარეულიყო და დიდ პოლიტიკაში ე.წ. ზეწოლის სპეცოპერაციით დაბრუნებულიყო? – ეს რიტორიკული კითხვაა, რომელზეც პასუხის გაცემა, ცხადია, მას შეუძლია, ვინც ბოლოდროინდელი მოვლენები დაგეგმა ანუ ლოგიკას თუ გავყვებით, **„ადე"** არენაზე შემთხვევით არ გამოჩენილა და მომავალში, ალბათ, კიდევ უფრო დიდი ინტრიგის მოწმენი გავხდებით.

„ისე, თუ დააკვირდებით, „მოსამართლეების სკანდალი" ვიზა-ლიბერალიზაციას დაემთხვა. დავუშვათ, ყველაფერი „ოცნების" მოწყობილია, მაგრამ დავიჯერო, ხელისუფლებაში ერთი ჭკვიანი მაინც არ არის, რომელიც იტყოდა, ცოტა მოვიცადოთ და ევროპელ პარტნიორებს სალაპარაკოს ნუ მივცემთო? – ყველაფერ ამით ხომ, პირველ რიგში, დარტყმის ქვეშ, სწორედ ქვეყნის საგარეო იმიჯი დგება. ჰოდა, მაინტერესებს, რა სასწრაფო იყო, „მოსამართლეების სკანდალი" მაინცდამაინც ახლა აწეულიყო ან თუ ეს ხელისუფლებამ დაგეგმა, პროკურატურა თავის დროზევე ხომ იტყოდა, რომ მოსამართლეებმა მუქარის წერილები მიიღეს, მით უმეტეს, ცნობილია, განცხადება საგამოძიებო უწყებაში იანვრის შუა რიცხვებში შევიდა? აი, ამ ფაქტებს რომ ვაანალიზებ, ამიტომაც მიჩნდება გონივრული ეჭვი – ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ დღის წესრიგს ისევ ნაციონალები ადგენენ", – ამბობს **„ვერსიის"** ფარული თანამოსაუბრე.

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲜᲣᲑᲖᲐᲠ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ: *ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲜᲐᲦᲓ ᲝᲗᲐᲠ ᲙᲐᲮᲘᲫᲔᲡ!*

(ნაც დეპუტატ „ოთოიაში" არ აგეგრიოთ!)

დათო არჩვაძემ გაასაჯაროვა ერთი ლექსი.

სუპერ!

ვეფერები ავტორს – ოთარ კახიძეს, გიმეორებთ (იმ "ცნობილ", ღიმილისმომგვრელ "ოთო კახიძეში" არ შეგეშალოთ, გარეკილი რომ აქვს), ამ კარგზე კარგ ბიჭს, 9 წლის ასაკში რომ ასეთი ლექსი დაწერა...

აი, რა დავაზუსტე: „2009 წლიდან წასულია სასწავლებლად ბრიტანეთში. იმდენად ნიჭიერი ადამიანია, რომ 100%-იანი დაფინანსება მოიპოვა ბრიტანეთის ერთ ერთ სამეფო კოლეჯში. შემდეგ დაამთავრა new yourk-ის უნივერსიტეტი – ესეც 100%-იანი დაფინანსებით..."

გამიხარდა!

არ ვიცი ისევ წერს თუ არა ლექსებს, მაგრამ ამ ერთი ლექსითაც უკვე აშკარაა, რომ საქართველოს გაეზარდა საამაყო კაცი, სისხლით, ხორცით და სულით ქართველი ვაჟკაცი!

კეთილი სურვილები ნაღდ ოთარ კახიძეს!

მადლობა მის მშობლებს!

დათო არჩვაძე: რესპექტ!

აი ეს ლექსიც:

ᲓᲐᲕᲘᲗ

ცა მოიღრუბლა და წვიმა ცრიდა,
ვიდექ დავითის საფლავთან მარტოდ.
დავითს ეძინა, ეძინა მშვიდად,
გადაეშალა მხარ-ბეჭი ფართოდ.
სამოცი ომი, სამოცი ბრძოლა
იოლი არის მხოლოდ სათქმელად.
დიდი დავითის წმინდა საფლავი
ვერ გავიმეტე ფეხ დასადგმელად.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ: 9 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲗᲐᲠ ᲙᲐᲮᲘᲫᲔ
2001 ᲬᲔᲚᲘ

ᲜᲐᲠᲦᲘᲨ ᲙᲐᲠᲔ

ხვალე გემიდგ ნარღიშ კარე,
ფირქეფც ვაუღ შურო სვანჯი.
თოლონჭაფუს ცურუმ გარე,
ნირსის დუფორ გვალაშ წვანჯი.
მუნაფა რე ფერო შორშე,
დუც გუმართუ მუკი–მუკი.
აკორთელე არძა შოშე,
არძა გა დო არძა სუკი.
მიკმურცხონანს ფაჭას დოლოს,
აყარებულ წყარი ნარას.
ჩეგვალა დო ვერჩეშ ხოლოს,
მიკმარზანს დო მიკმავალანს.
მითა მიცუნც ელმაჩამალ,
ცალ მიწყუნუ ორთაშ უღუქ.
მუკომინჯანს ორკეს ჩანარ,
ნარღიშ კარეს მულვოგუგუქ.
ათაშ ვორექ ამდღა გვალო,
უძირაფუს დევეხოლი.
შურ გოფაფჩუ ერქემცალო,
გუმაფართხალ მაჭირხოლი.
გაგწოპრტებუ არზი, ნარდი,
ფირქეფ ვამიჩქ ასე სო რენ.
ხოლო ქუქუბ ვარე ნარტი,
ჭოროფა დღას აკობგორენ.

ᲖᲐᲐᲚ ᲯᲐᲚᲐᲦᲝᲜᲘᲐ

ილორი

ვარდების მკვლელობების შოკისმომგვრელი ქრონიკა

ვანო პავლიაშვილი

(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით)

"ვარდების" ხელისუფლების პერიოდი იყო **„უნდობარი ხანა"**, რომელმაც სისხლი და ცრემლები უხვად მოიტანა! საერთოდ, საზოგადოებაზე გვამებით ზემოქმედება ყველა დროის ყველა ხელისუფლებას ახასიათებს, რის დასტურადაც, კომუნისტების ეპოქაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შავბნელი 90-იანებიც გამოდგება. სოლიკო ხაბეიშვილი, გია ჭანტურია, გია გულუა, დემურ დვალიშვილი (ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის ბურუსით მოცულ მკვლელობისა თუ თვითმკვლელობა...), – ეს იმ ადამიანთა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც პოსტსაბჭოთა ეპოქის პირველ წლებში მსახვრალი ხელის მსხვერპლნი გახდნენ...

21-ე საუკუნემაც საქართველოში სისხლით **„შემოაბიჯა"** – 2002 წლის 25 თებერვალს, სახელმწიფო კანცელარიაში ანუ იქ, სადაც ქვეყნის პრეზიდენტისა და უმაღლესი მთავარსარდლის სამუშაო კაბინეტია, გაისვრიან. ამ გასროლას უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია შეეწირება და მაშინვე გავრცელდება ინფორმაცია, რომ საჯაიამ, რომელიც აწ განსვენებული ედუარდ შევარდნაძის მარჯვენა ხელი გახლდათ, თავი მოიკლა, თუმცა, თვითმკვლელობის ვერსია ნელ-ნელა გაცამტვერდება.

მართალია, მას შემდეგ 15 წელი გავიდა, მაგრამ შესაბამის ორგანოებს დღემდე არ უთქვამთ, უშიშროების საბჭოს მდივანმა სიცოცხლე მართლაც სუიციდით დაასრულა თუ, უბრალოდ, მოკლეს. არადა, მკვლელობის ვერსიას არსებობის უფლება აქვს, რამეთუ სხვადასხვა წყაროს მონაცემებით, იმ ადამიანებმა, რომლებიც კაბინეტში გასროლისთანავე შევიდნენ, უშიშროების საბჭოს მდივნის სხეულზე ორი ნატყვიარი აღმოაჩინეს...

ისე, ორი ტყვიითა თუ იარაღით თვითმკვლელობის დრამა **„ვარდების საქართველოშიც"** გათამაშდება. ყოველ შემთხვევაში, სამართალდამცავები **„დაგვარწმუნებენ"**, რომ ლევან სამხარაულის მკვლელმა თავი სწორედ ორი იარაღით მოიკლა(!)... სხვათა შორის, ლევან სამხარაულის ტრაგედიას **„ვარდების ტრაგედიათა"** კასკადი მოჰყვება – 2007 წლის გაზაფხულზე, თბილისის ერთ-ერთ ყველზე ხალხმრავალ ადგილას, მელიქიშვილის გამზირზე გურამ შარაძეს მოკლავენ; ასევე, 2007 წლის დასაწყისში ნაციონალებთან დაახლოებული კახელი ბიზნესმენი ნოდარ საქუაშვილი გარდაიცვლება; ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 2008 წლის 12 თებერვალს, ლონდონში, საკუთარ სახლში ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი აღესრულება. პატარკაციშვილის გარდაცვალებამდე ზუსტად სამი წლით ადრე, 2005 წლის 3 თებერვალს კი, შს მაშინდელი მინისტრი ვანო მერაბიშვილი და გენპროკურორი ზურაბ ადეიშვილი პრემიერ ზურაბ ჟვანიას გაზით გაგუდვას გვამცნობენ.

სხვათა შორის, პატარკაციშვილი და ჟვანია მეგობრები იყვნენ... საერთოდ, თუ დავაკვირდებით, თებერვალი საქართველოსთვის ერთობ ფატალურია – 2005 წლის 4 თებერვალს ანუ პრემიერის უცნაური გარდაცვალებიდან ზუსტად მეორე დღეს, თავს ჟვანიას ადმინისტრაციის თანამშრომელი და მასთან დაახლოებული პიროვნება, ვინმე გიორგი ხელაშვილი იკლავს. 5 თებერვალს კი მოსკოვში ბიზნესმენ მამუკა ჯინჭარაძეს კლავენ, რომელიც ასევე ზურაბ ჟვანიას მეგობარი გახლდათ...

მოკლედ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ იმ გახმაურებულ მკვლელობებს შორის, რომელიც 2000-იანი წლებიდან მოხდა, ერთგვარი სპირიტული კავშირი არსებობს. ამრიგად, სპირიტულ გამოძიებას გთავაზობთ!

2016 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ერთ-ერთი ქართული ინტერნეტპორტალი ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის სკანდალურ განცხადებას გაავრცელებს, რომლის თანახმადაც, ხაჭაპურიძემ 2010 წელს, ჰაეგის მთავარ პროკურორს ნაციონალების მმართველობის დროს მოკლულთა სია პირადად გადასცა.

სიაში, სანდრო გვირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურაბ ვაზაგაშვილის, გიორგი გამცემლიძის, ზურაბ ჟვანიასა და აფრასიძეების გარდა, სხვა, საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი გვარებიცაა შეტანილი:

ოთარ გველუკაშვილი (მოკლული იქნა გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში სპეცოპერაციისას); ანტონ კეკულავა (მოკლეს თბილისში დაკავებისას); დიკო ბარქაია (მოკლეს ზუგდიდის რაიონში სპეცოპერაციისას); ზაზა ფანცქელაძე (მოკლეს ზუგდიდის რაიონში დაკავებისას); ხვიჩა კვირიკაშვილი (მოკლულ იქნა თბილისში, პოლიციელების მიერ დაკავების დროს, ცემით); ალექსანდრე გომაშვილი (მოკლეს კახეთში დაკავებისას); მურთაზ ქარდავა და თემურ ხუბუნია (ორივე, ხაჭაპურიძის თქმით, უშიშროების თანამშრომელმა ჩაცხრილა); სულხან ლომიძე (მოკლეს ხელვაჩაურის რაიონში სპეცოპერაციისას); აკაკი კორკოტაშვილი (მოკლეს გურჯაანის რაიონში დაკავებისას); ავთანდილ და ვახტანგ გუმაშვილები (მოკლეს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში სპეცოპერაციისას); ვახტანგ მარგოშვილი (მოკლეს ქვემო ქართლში, სოფელ ვახტანგისში); ვარლამ ნემსიწვერიძე (მოკლეს თბილისში, მძევლის გათავისუფლებისას); ნესტორ ესებუა, გია ოკუჯავა და თემურ ცეკვავა (სამივე აბაშის რაიონის მკვიდრი, სოფელ მარანში დაკავებისას მოკლეს); თამაზ კურკუმული (მოკლეს თბილისში, დაკავებისას); ხვიჩა მელაძე (მოკლეს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში); გიორგი კვირიკაშვილი და გიორგი მანჯავიძე (მოკლეს თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე დაკავებისას); ლევან გულუა (მოკლეს თბილისში, გამსახურდიას გამზირზე დაკავებისას); რეზო სარჯველაძე (მოკლეს თბილისში, დაკავებისას); ვლადიმერ ხოშტარია (მოკლეს თბილისში, დაკავებისას); გიორგი თელია (მოკლეს თბილისში, საკუთარ სახლში, სპეცოპერასიის დროს); ჯემალ ჩაფიძე (მოკლეს თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში დაკავებისას); ზვიად ბაბუხადია, ბუთხუზ კიზირია და ვალერი ბენდელიანი (მოკლეს ბაღდადის რაიონის სოფელ ვარციხეში დაკავებისას); ალექსანდრე ხუბულოვი (ჩაცხრილეს ავტომანქანაში, სპეცოპერაციის დროს - ე.წ. კორტების საქმე); მიხეილ ბერძენიშვილი (მოკლეს საგარეჯოს რაიონში, დაკავებისას); გელა ცინდელიანი (მოკლეს მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში, სპეცოპერაციისას); ჯაბა ჯაბანიშვილი (ქალაქ ბორჯომში პოლიციელმა დაჭრა და მოგვიანებით გარდაიცვალა); ხვიჩა კოკაია (მოკლეს ხობის რაიონში, სპეცოპერაციისას); ვალერი ფხაკაძე (ქუთაისში პოლიციელებმა დაჭრეს, თუმცა სასწრაფო დახმარება არ აღმოუჩინეს, რაც გარდაცვალების მიზეზი გახდა); მიხეილ კირაკოსიანი (მოკლა პოლიციელმა); გიგა ჭარბაძე; ალექსანდრე ხოსიტაშვილი; ოლეგ მესხიძე (მოკლეს ოზურგეთში, სპეცოპერაციისას); თენგიზ გოგია (მოკლეს სენაკის რაიონის სოფელ მენჯში, სპეცოპერაციისას); როლანდ მახარაძე (მოკლეს ბათუმში, მძევლების გათავისუფლების დროს); როინ შავაძე (მოკლეს ქობულეთში, სასტიკი წამებით); ზურაბ მანთაძე (მოკლეს რუსთავ-თბილისის გზატკეცილზე, დაკავების შემდეგ); გიორგი კრიალაშვილი (მოკლეს თბილისში, სპეცოპერაციისას); ჯიმი მეგრელიძე (მოკლეს ზუგდიდში, დაკავებისას); მამუკა ჩარჩხალია (პოლიციელების მიერ თავის არეში მიყენებული ჭრილობის შედეგად საკუთარ სახლში გარდაიცვალა).

შალვა ხაჭაპურიძის მტკიცებით, ყველა ამ მკვლელობაზე ოფიციალური მტკიცებულებითი მასალები და ვიდეოფირები აქვს. ისე, საგულისხმოა, რომ ხაჭაპურიძის მიერ შედგენილ **„მოკლულთა სიაში"** არც პოლკოვნიკი სერგო თეთრაძე ფიგურირებს და არც – საზღვაო ძალების მთავარსარდალი ზურაბ ირემაძე. არადა, ადმირალი ირემაძე ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც **„ვარდების რეჟიმს"** ემსხვერპლა, თუმცა მკვლელობას ვინ ჩივის, თავის დროზე საგამოძიებო უწყებებს საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლითაც არ აღუძრავთ. არადა, ასეთ შემთხვევებში გამოძიება, როგორც წესი, სწორედ ამ მუხლით იწყება ხოლმე.

მოკლედ, ხელისუფლებაში მოსულმა რევოლუციონერებმა ჩათვალეს, რომ საზღვაო ძალების სარდალი ბუნებრივი სიკვდილით აღესრულა, მაგრამ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს თავიდანვე გაუჩნდათ ეჭვი, რომ ადმირალი მოწამლეს. ისე, ზურაბ ირემაძისა და ბიზნესმენ ნოდარ საქუაშვილის გარდაცვალება ერთმანეთს რაღაცით ჰგავს. ყოველ შემთხვევაში, არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ საქუაშვილიც მოწამლეს. სხვათა შორის, ამის თაობაზე ბიზნესმენის შვილმა, ინგამ განმიცხადა. ინტერვიუში, რომელიც 2013 წლის ივნისში გამოქვეყნდა, ინგა საქუაშვილი ამბობდა, რომ მამამისი მერაბიშვილის სახლში **„კოკა-კოლით"** მოწამლეს, რის შემდეგაც ე.წ. ხელოვნური სიმსივნე განუვითარდა.

„მამა აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო, მაგრამ ერთ დღეს შეუძლოდ გახდა, აუტანელი ტკივილები დაეწყო. მას შემდეგ რაც ონკოლოგიურში დაწვა, ერთ კვირაში 17 კილო დაიკლო, ვეჭვობ, ექიმებიც მოსყიდული ჰყავდათ, რადგან მისი გარდაცვალების შემდეგ საავადმყოფოში მისი ისტორია გაქრა. მამა აშშ-ში წავიდა, სადაც უთხრეს, რომ რვა თვის წინ ანუ 2006 წლის მარტში მოწამლეს და სიმსივნე ამიტომ გაუჩნდა. უთხრეს, რომ „კოკა-კოლით" იყო მოწამლული", – ესაა ამონარიდი ინგა საქუაშვილის ზემოხსენებული ინტერვიუდან.

გამორიცხული არაა, რომ ზურაბ ირემაძის გარდაცვალების მიზეზი მოწამვლა გამხდარიყო. საერთოდ, ადმირალის ტრაგედია ნაციონალების დროს მომხდარი სხვა კრიმინალური ამბებისგან რადიკალურად განსხვავდება. ყოველ შემთხვევაში, როცა პირველად ამ საქმეს გავეცანი, მეგონა, რომ ჰოლივუდური ტრილერისთვის დაწერილ სცენარს ვკითხულობდი. გთავაზობთ ადმირალის ქალიშვილ თამთა ირემაძესთან ინტერვიუს, რომელიც 2014 წლის მარტში ჩავწერე:

– 2004 წლის 13 აგვისტოს შინ მეგობართან ერთად ვიყავი. ჩემი მეუღლეც სამხედრო გახლდათ და, მამაჩემთან ერთად, ბათუმში, **„ბლექსი თორის"** სწავლებაში მონაწილეობდა. წესით, ჩემთან მამაჩემის მდივანი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ისე მოხდა, რომ მისი ოჯახის წევრი დარჩა...

– ვინმეს დარჩენის აუცილებლობა დღის წესრიგში რატომ დადგა?

– იმიტომ, რომ რამდენჯერმე ჩვენს დაყაჩაღებას შეეცადნენ და არ მინდოდა, შინ მარტო ვყოფილიყავი... ღამის პირველი საათი იქნებოდა, რაღაც ხმაური შემომესმა. შემეშინდა და გარეთ ვერ გავიხედე. ამ დროს, მამაჩემი უკვე ფოთში ყოფილა, მაგრამ არ ვიცოდი... მოკლედ, დედაჩემს დავურეკე და ვთხოვე, შტაბში დარეკე, რაღაც ხდება და იქნებ, ვინმე მოვიდეს და მომეხმაროს-მეთქი... არ გასულა ნახევარი საათი და სროლის ხმა გავიგე...

– ვინ ისროდა?

– მამაჩემი... ბათუმიდან დაბრუნებულ მამას დედაჩემისთვის უთქვამს, თავს კარგად ვერ ვგრძნობ, წამოვწვები და ტელევიზორს ვუყურებო... მამაჩემმა ოთახების დათვალიერება დაიწყო. დავამშვიდე, არავინაა-მეთქი. მერე გარეთ გავიდა, ერთხელ კიდევ გაისროლა და მითხრა, ყველაფერს მივხედი, შენ დაწყნარდი და ამათი დედაცო.

– ვინ „ამათიო"?

– არ ვიცი, მეტი არაფერი უთქვამს... მერე, სკამზე ჩამოჯდა და მითხრა, მამა, მგონი, გული მაქვს ცუდად თუ არ ვიცი, რა მჭირსო და... სკამიდან გადავარდა. სწორედ ამ დროს, ელექტროენერგია და **„მაგთი"** და **„ჯეოსელი"** გაითიშა... მეზობლის ე.წ. ქალაქის ტელეფონიდან სასწრაფოში დავრეკე და, მახსოვს, ვყვიროდი, მამა მიკვდება და დროზე მოდით-მეთქი, მაგრამ მიპასუხეს, საწვავი არ გვაქვს და ვერ მოვალთო... ამასობაში, 10-15 წუთი გავიდა, მობილური კავშირი აღდგა და იმ გოგონას მამას დავურეკე, რომელიც ჩემთან იმყოფებოდა... მამა ჰოსპიტალში წავიყვანეთ, მაგრამ... ცოცხალი აღარ იყო... სხვათა შორის, მამაჩემი სახლში რომ შემოვიდა, გამიკვირდა – გასიებული იყო, მაისური შემოხეული ჰქონდა, მუხლებზე შარვალი – გადახეხილი და სახეზე მწვანე ფერი ედო. თვალები კი შუშისას მიუგავდა.

– ჰოსპიტალში რომ გითხრეს, გარდაცვლილიაო, ექსპერტიზის ჩატარება არ მოითხოვეთ?

– არა... შოკში ვიყავით, რადგან კაცი, რომელიც ნახევარ საქართველოს აზანზარებდა, უცებ გარდაიცვალა... ჰოსპიტლიდან ექიმები მოდიოდნენ და რაღაც წამლებს გვასმევდნენ. გვეუბნებოდნენ, ამხელა დარტყმას ვერ გაუძლებთ, გული სულ ცუდად გიხდებათ და წამლები დაგამშვიდებთო. ამიტომ, დედაჩემი სულ გათიშული იყო და მამაჩემის დაკრძალვის ამბები, პრაქტიკულად, არ ახსოვს. ჩემს ძმას კი, რომელიც მაშინ მეექვსე კლასში სწავლობდა, ორი დღე ეძინა.

– ამ წამალს აბის სახით გაძლევდნენ?

– არა, წვეთები იყო და ყავაში გვისხამდნენ. მამაჩემის გარდაცვალებიდან 21-ე დღეს, ჩემი მეუღლეც დაიღუპა. აბსოლუტურად ჯანმრთელი, 21 წლის ბიჭი იყო, რომელმაც გარდაცვალების წინა დღეს მითხრა, თათო, მარტო დავრჩით, უფრო სწორად, მარტო თქვენ დარჩითო. გამიკვირდა, ამას რატომ ამბობ, როცა ამდენნი ვართ, ვიქტორაც გვყავს-მეთქი.

– ვიქტორა ვინაა?

– ჭელიძე, რომელიც მამაჩემის მოადგილე იყო... იმ საღამოს დათუნამ რამდენჯერმე გაიმეორა, თათო, მეც მალე აღარ ვიქნებიო... ჩავეძიე, რა ხდება-მეთქი. მომიგო, არ არის საჭირო, ყველაფერი იცოდე, რაც უფრო ნაკლები გეცოდინება, მით უკეთესი იქნებაო...

– ეჭვობთ, რომ თქვენი მეუღლეც მოკლეს?

– დიახ...

– ვთქვათ, ადმირალი მოკლეს, მაგრამ თქვენს მეუღლეს რაღას ერჩოდნენ?

– დათუნა მამაჩემის ნდობით აღჭურვილი პირი იყო...

– ზურაბ ირემაძემ ისეთი რა იცოდა, რომ მისი მოკვლა გახდა საჭირო?

– ეს ჩვენ არ ვიცით. საერთოდ, სამხედროები ოჯახში არაფერს ჰყვებიან...

– ისე, რატომ გაგიჩნდათ ეჭვი, რომ ადმირალი მოკლეს?

– მამაჩემისა და ჩემი მეუღლის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, დედაჩემთან მძარცველები შეიჭრნენ, რომლებიც ძვირფასეულობასთან ერთად, იარაღს და რაღაც დოკუმენტებს ითხოვდნენ. დედას ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. ყველაზე საეჭვო კი ის იყო, რომ ყაჩაღები სწორედ იმ კომოდთან მივიდნენ, სადაც მამა საბუთებსა და იარაღს ინახავდა, თუმცა არაფერი დახვდათ. სხვათა შორის, გარდაცვალებიდან მესამე დღეს, მამაჩემის კაბინეტიდან ყველაფერი წაიღეს და უმნიშვნელო რაღაცები დატოვეს.

– საქმე არც ამ დაყაჩაღების გამო აღიძრა?

– არა, დედაჩემმა, რომელსაც შეეშინდა, ფოთი სასწრაფოდ დატოვა, საჩივარი კი, ერთ-ერთ პიროვნებას გაატანა, თუმცა, მერე გავიგეთ, რომ მას განცხადება პოლიციაში არ შეუტანია... საცხოვრებლად თბილისში გადმოვედით. დედაჩემს პერიოდულად ტელეფონზე უცნობები ურეკავდნენ და, ვთქვათ, ასეთ რამეს ეუბნებოდნენ, შენ დედა ხარ, შენმა შვილმა ადამიანი მოკლაო. პარალელურად, კარზე აკაკუნებდნენ და გვაფრთხილებდნენ, ჩუმად იყავითო... თან რაღაც დოკუმენტებს გვთხოვდნენ... ისე, გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, მამამ დედას რუკები ჩააბარა.

– ეს მნიშვნელოვანი რუკებია?

– სამხედროები არ ვართ და არ ვიცით... მთელი ცხრა წლის განმავლობაში, სწორედ ამ რუკებს ეძებდნენ. ბოლოს, ბავშვის ზეიმის კასეტებიც წაიღეს, ალბათ, ეგონათ, რომ რამე მნიშვნელოვანი ჩანაწერი იყო...

– მაშასადამე, ადმირალი ირემაძე ამ საიდუმლო რუკების გამო მოკლეს ან რით ამტკიცებთ, რომ მოკლეს?

– ყველაფერს ვიქტორ ჭელიძის სტატიები ადასტურებს, სადაც წერს, ერთხელ, ზურა კაბინეტიდან გამოვიდა და თქვა, ეს კაცი ისეთ დავალებებს მაძლევს, რომ მოსაკლავად ვყავარ განწირულიო.

– „ეს კაცი" ვინ არის?

– სააკაშვილი. ამასთან, ვიქტორ ჭელიძე წერს, რუსეთის დუმის დეპუტატები აფხაზეთში გადადიოდნენ და სააკაშვილმა ზურა ირემაძეს უბრძანა, ეს გემი ჩაეძირა, მაგრამ მამაჩემი საზღვაო ძალების სარდალი იყო და იცოდა, გემის ჩაძირვა ომის დაწყების წინაპირობა იქნებოდა და ამიტომ, სააკაშვილის ბრძანება არ შეასრულა.

– ადმირალი რით მოწამლეს?

– არ ვიცი, თუმცა ვიქტორ ჭელიძე დარიშხანზე საუბრობს... ვიქტორ ჭელიძეს სათქმელი ბევრი აქვს და... ყველაფერი გამოძიებამ უნდა დაადგინოს... ისე, ვიქტორ ჭელიძე ამბობს, რომ ჩემი მეუღლე ავარიით არ გარდაცვლილა, ის ჯერ აწამეს და შემდეგ, მანქანით გადაუარეს...

(გაგრძელება მე-7 გვერდზე)

ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲙᲘᲡᲛᲝᲛᲒᲕᲠᲔᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

(გაგრძელება მე-6 გვერდიდან)

– თამთა, როგორც ვიცი, კაბინეტიდან მამათქვენის იარაღიც გაქრა...

– დიახ, ასეა. ამ იარაღის პასპორტები ჩვენ გვქონდა. თავდაცვის სამინისტროში განცხადებებს ნაციონალების დროსაც ვწერდი, მაგრამ ამ განცხადებებს ნომრებს არ ანიჭებდნენ. რამდენიმე წლის წინ, თავდაცვის სამინისტროს ორი გამომძიებელი მე და დედაჩემს შეგვხვდა, იარაღზე გვესაუბრა...

2015 წლის 2 თებერვალს, „რუსთავი 2" გაავრცელებს ინფორმაციას, რომ ვიქტორ ჭელიძე ანუ ის პიროვნება, რომელსაც ზემოხსენებულ ინტერვიუში თამთა ირემაძე ახსენებს, ინტერპოლმა ბრიუსელში დააკავა და მისი საქართველოში ექსტრადირება მოხდა. ამავე ინფორმაციით, ჭელიძე დამნაშავედ მითვისებასა და გაფლანგვაში, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, სამსახურებრივ სიყალბეში, სამხედრო ქონების განზრახ დაზიანება-განადგურებასა და სამხედრო ქონების შენახვის წესის დარღვევაშია ცნობილი.

„ვერსიის" პირადი კონფიდენტების თქმით, ბოლო დროს ამ საქმეზე ჩვენება ადმირალის რამდენიმე მეგობარმა მისცა, თუმცა გამოძიება, დაუზუსტებელი ინფორმაციით, დღემდე გრძელდება. შესაბამისად, იმის თქმა, 2004 წლის 13 აგვისტოს ტრაგედიას ნათელი მოეფინება თუ არა, დანამდვილებით შეუძლებელია, თუმცა თუ დავუშვებთ, რომ ადმირალი სიცოცხლეს პოლიტიკური მოტივით გამოასალმეს, ამ საქმის გახსნა ნაკლებსავარაუდოა, რამეთუ მსოფლიო პრაქტიკა ნათელყოფს, რომ პოლიტიკური მკვლელობები არ იხსნება...

ადმირალ ირემაძისგან განსხვავებით, დადასტურებულია, რომ ზურაბ ჟვანიას მეგობარი და „ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი დამფინანსებელი მამუკა ჯინჭარაძე მოკლეს – 2005 წლის 5 თებერვალს, 38 წლის ბიზნესმენს საკუთარ ავტომანქანაში უცნობი მაყუჩიანი პისტოლეტიდან რამდენჯერმე ესვრის. მძიმედ დაჭრილ ჯინჭარაძე მანქანიდან გადმოსვლას ახერხებს და... გამვლელ ავტოს საავადმყოფოში გადაჰყავს, თუმცა რამდენიმესაათიანი მცდელობის მიუხედავად, დასტაქრები მის გადარჩენას ვერ შეძლებენ...

გამოძიება შემთხვევის ადგილას მკვლელობის იარაღს აღმოაჩენს და ისიც გაირკვევა, რომ 7-დან ერთი ტყვია საკონტროლო იყო ანუ სახეზე ტიპური შეკვეთილი მკვლელობაა, მაგრამ საინტერესოა, ვის აწყობდა ბიზნესმენის საიქიოში გასტუმრება და საერთოდ, ვინ იყო მამუკა ჯინჭარაძე?

მამუკა ჯინჭარაძე აჭარაში, კერძოდ, ქობულეთში დაიბადა. 1988 წელს, საცხოვრებლად რუსეთში, კერძოდ, ნავთობის საბადოებით ცნობილ ტიუმენის ოლქში, ქალაქ ნიჟნი-ვარტოვსკში გადადის და მუშაობას ხილის საბითუმო საწყობში მტვირთავად იწყებს. ზუსტად ერთი წლის შემდეგ კი კოოპერატივს ხსნის...

იმ დროს, როცა წითელი იმპერია ჩამოშლას დაიწყებს, ჯინჭარაძე ალექსანდრ პეტერმანს გაიცნობს და... მასთან ერთად, 90-იანი წლების ბოლოს, კორპორაცია „სლავტეკს" დააფუძნებს. „სლავტეკი", რომელიც რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კორპორაციად ითლებოდა, 50-მდე ორგანიზაციას და საწარმოს ფლობდა, მათ შორის – საბითუმო მაღაზიათა ქსელს, გასართობ ცენტრებსა და ხე-ტყის გადამმუშავებელ საწარმოებს. ამასთან, „სლავტეკი" მსხვილი ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების მესაკუთრეც გახლდათ...

მოგვიანებით, ჯინჭარაძე-პეტერმანის საქმიანი დუეტი სამშენებლო და მედიაბიზნესითაც დაინტერესდება და... ჯინჭარაძე ნიჟნი-ვარტოვსკის „რუხი კარდინალი" გახდება – მას ანგარიშს კრიმინალებიც უწევენ. 2000 წლისთვის მამუკა ჯინჭარაძე მხოლოდ ტიუმენის ოლქში კი არა, მთელ რუსეთში უკვე ცნობილი ბიზნესმენია.

გავა რამდენიმე წელი და ჯინჭარაძე ქალაქ ნიჟნი-ვარტოვსკის დუმის, მისი პარტნიორი ალექსანდრ პეტერმანი კი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი გახდება. იმდროინდელ მედიაში გავრცელებული ცნობით, მათ შორის უთანხმოება სწორედ ამ დროიდან დაიწყო და ჯინჭარაძემ კონფლიქტის მოგვარება რუსული კრიმინალური სამყაროს ე.წ. ქართულ ფრთას სთხოვა, თუმცა ექს-პარტნიორთან ომში მარცხდება, ქალაქს ტოვებს და სამშობლოში, კერძოდ, აჭარაში ბრუნდება.

ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე მამუკა ჯინჭარაძის მიმართ კეთილადაა განწყობილი, რაც გასაკვირიც არაა – მის ძმას, ელგუჯას, რომელსაც მთელი აჭარა **„რემბოს"** მეტსახელით იცნობს, აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტი უკავია, ერთხანობა **„ბაბუს"** დაცვის უფროსიც იყო, თუმცა საქართველოში რევოლუციური მოძრაობა დაიწყება თუ არა, გაჩნდება ინფორმაცია, რომ მამუკა ჯინჭარაძე **„ვარდოსნებს"** გულშემატკივრობს. მეტიც, იმასაც იტყვიან, რომ შევარდნაძის ხელისუფლების წევრების გადაბირება-მოქრთამვა **„ამბოხებულებმა"** სწორედ ჯინჭარაძეს დაავალეს.

აღსანიშნავია, რომ რევოლუციის პერიოდში ჯინჭარაძის მთავარი ბიზნეს-პარტნიორები რჩეულიშვილები იყვნენ. შესაბამისად, იმ ჩანაწერშიც, რომელსაც მოგვიანებით პოლიტიკური გაერთიანება **„თეთრები"** გაავრცელებს, სწორედ ვახტანგ რჩეულიშვილია ნახსენები. ჩანაწერის მიხედვით, საუბარი იმდროინდელ სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძესა და მამუკა ჯინჭარაძეს შორის მიმდინარეობს:

„ავთანდილ ჯორბენაძე: – მერე შევარდნაძე უნდა გამოვიდეს ტელევიზიით და თქვას რაღაცები, რომლებიც ამათთვის იქნება მისაღები – ეს ასე წარმომიდგენია... მერე სამუშაო მაქვს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. რაღაცები იქნება დასალაგებელი, მერე „პასტეპენნო ვსიო დელაეტსია. პროდვიჟენიე შაგ ზა შაგომ..."

მამუკა ჯინჭარაძე: ერთი დამთავრდეს და რჩეულიშვილს მინდა, მე თვითონ „დავარტყა" მერე.

ჯორბენაძე: ეგ ბიჭი სულელია.

ჯინჭარაძე: ჰოდა, ამიტომ მინდა ჩავხადო.

ჯორბენაძე: რა გააკეთეს?

ჯინჭარაძე: გადამაგდეს, ფული მივეცი და მომიტეხეს... ნახევარი მილიონი მომიტეხეს, სამშენებლო საქმე უნდა გაეკეთებინათ და ვერ გააკეთეს".

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მამუკა ჯინჭარაძეს **„ვარდოსნებთან"** პრობლემები არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ 2004 წლის 31 მარტს, ბიზნესმენს თბილისის აეროპორტში აკავებენ.

„მამუკა ჯინჭარაძე ტრანსპორტის პროკურატურაშია დაკითხვაზე, სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტზე", – განუცხადებს ჟურნალისტებს მაშინდელი გენპროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი.

მოგვიანებით, ამ **„სატრანსპორტო შემთხვევის"** დეტალებიც გაირკვა – ჯინჭარაძეს შვეულმფრენი უქირავებია და გუდაურში გამგზავრებულა, მაგრამ დაშვებისას, შვეულმფრენი დაზიანებულა. ჯინჭარაძეს მხოლოდ ამის შემდეგ იგებს, რომ შვეულმფრენი შსს-ს საკუთრებაა... მოკლედ, ბიზნესმენს შვეულმფრენის შეკეთება 2 მილიონი ლარი უჯდება.

2004 წლის გაზაფხულია. თბილისში საქართველო-რუსეთის ბიზნესფორუმი იმართება, რომელზეც პრემიერი ზურაბ ჟვანია, როგორც მეგობარ ბიზნესმენს, მამუკა ჯინჭარაძესაც იწვევს.

„მალე ენერგეტიკის, სარკინიგზო მიმოსვლისა და ტურიზმის სფეროში ათამდე საინვესტიციო პროექტი განხორციელდება და რუსეთიდან საქართველოში ძალიან დიდი ფული შემოვა", – აცხადებს ფორუმზე ჯინჭარაძე, თუმცა ეს ნათქვამი ნათქვამად დარჩება, რამეთუ როგორც აღვნიშნეთ, მამუკა ჯინჭარაძეს 2005 წლის 5 თებერვალს ანუ ზურაბ ჟვანიას უცნაური გარდაცვალებიდან ზუსტად ორი დღის მერე, მოსკოვში **„მაყუჩიანი"** იარაღით მოკლავენ...

სწორედ ამიტომაც ჩნდება ეჭვი, რომ ის პოლიტიკური თამაშების მსხვერპლი გახდა, თუმცა, მართლა ასე იყო თუ არა, ეს მხოლოდ პოლიტიკურმა ღმერთებმა და პოლიტიკური სამოთხიდან განდევნილმა ანგელოზებმა იციან...

„ვარდების სისხლიანი ქრონიკა" მამუკა ჯინჭარაძის მკვლელობით არ მთავრდება – ბიზნესმენის აღსასრულიდან გავა ზუსტად ორი წელი და... თბილისის ერთ-ერთი მთავარი გამზირი სისხლით შეიღებება – 2007 წლის 20 მაისს, 20 საათსა და 10 წუთზე, მელიქიშვილზე, უფრო კონკრეტულად, მელიქიშვილის გამზირისა და შანიძის ქუჩის კვეთაზე, ყოფილ დეპუტატს, საზოგადოების – **„ენა, მამული, სარწმუნოება"** ლიდერს, აკადემიკოს გურამ შარაძეს მოკლავენ.

დაახლოებით ნახევარ საათში სამართალდამცავები მკვლელობაში ეჭვმიტანილს, 29 წლის ვინმე გიორგი ბარათელს აკავებენ, რომელიც დანაშაულს აღიარებს. ბარათელის ბრალეულობას სასამართლოც დაამტკიცებს და პატიმრობასაც მიუსჯის, მაგრამ მიუხედავად ამისა, საზოგადოების უმეტესობას დღემდე სჯერა, რომ შარაძე პოლიტიკურ ნიადაგზე მოკლეს.

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება, მთავარი პროკურატურა შარაძის მკვლელობის ხელახალ გამოძიებას დააანონსებს, თუმცა კარგა ხანია, ამ საქმესთან დაკავშირებით ახალი დეტალები ცნობილი აღარ გამხდარა...

ყველაფერი ზემოთქმული **„ვარდების ბნელი წლების"** არასრული ჩამონათვალია, თუმცა აქედანაც ნათელია, რომ პოლიტიკაში მიზანი საშუალებას ამართლებს, ანუ, თუკი პიროვნება მავანთათვის მიუღებელია, უარს მის სამუდამო დადუმებაზეც არ ამბობენ. მაშასადამე, როგორც სტალინი იტყოდა, არ არსებობს ადამიანი, არ არსებობს პრობლემაც, მაგრამ ზოგჯერ გვამები ცოცხლებზე უკეთ **„ლაპარაკობენ"...**

ასე რომ, ტყვია თუ დარიშხანი გამოსავალი სულაც არაა!..

ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐᲡ ᲑᲚᲝᲒᲘ

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲓᲘᲗ...

...ჩვენი, ზომიერი კლიმატური პირობების მქონე ქვეყნის მცხოვრებთათვის, შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტად ცივი გამოდგა წლევანდელი ზამთარი... თუმცა, ისიც სიმართლეა, რომ ამგვარი მკაცრი ზამთარი ადრეც მინახავს და თანაც არა ერთჯერ და ორჯერ... თუნდაც, 1991-92-93-94 წლების ზამთრის სეზონის გახსენება რად ღირს... მახსენდება შევარდნაძის ბანდებისაგან დევნილი მე და ჩემი თანმხლები კიდევ სამი ადამიანი თუ როგორ დავეხეტებოდით მშობლიურ მარგალონაში სოფელ-სოფელ თუ ტყე-ტყე... მახსენდება მძიმე სიტუაციაში მავანთ მხრიდან ადამიანური თანადგომის არა ერთი და ორი გამოვლინებაც... სულმდაბლობის მაგალითებიც მახსენდება... მრცხვენია ამის აღიარება, მაგრამ ვერცხლისწყლის სითხიანი სიცხის გასაზომი თერმომეტრიც კი მინატრია, რათა გამოუვალ სიტუაციაში, მოსალოდნელი გაუსაძლისი ტანჯვა-წამების თავიდან ასაცილებლად უყოყმანოდ გამომეყენებინა ის... აი, ამგვარი ფიქრებით და განცდებით დაღლილ-დამძიმებული 1993 წლის გვიანი შემოდგომის ერთ უჩვეულოდ სუსხიან დილას ჩემს მეგობრებთან ერთად უკანა მხრიდან მივადექი ზედაეწერ-ჩხორიას საზღვარზე მდებარე ცნობილ მუსიკოს-მომღერალ გურიელ ჭითანავას სახლს... აწ განსვენებული ანზორ გვარამიას ინიციატივა იყო ეს და მეც, ველოდი მირცხულავამაც და რეზო კემულარიამაც ხანმოკლე თათბირის შემდეგ, რადგან სხვა გამოსავალი პრინციპში არც გვქონდა, იმ იმედით, რომ იქნებ რამდენიმე დღით შეგვიფარონო – მხარი ავუბით მას...

მახსოვს თუ როგორ მივიდა ანზორი ფარეხიდან საქონლის გამოსარეკად ეზოს უკანა მხარეს გამოსულ გურიელთან... მახსოვს წუთები, წამები უსაშველოდ თუ როგორ გაიწელა იმ დროს... და, ახლაც ყურში ჩამესმის შვების მომგვრელი ხმა ჩვენი მისამართით – **„მოლართით ბოშეფი აშო"**... ეს გურიელი გვიხმობდა და ხელითაც გვანიშნებდა – აქეთ წამოდითო... ეს იყო 1993 წლის 16 ნოემბერს...

მერე... მერე ის იყო, რომ სახლში შეგვიძღვა გურიელი... ჩვენი თავი წარუდგინა ცოლ-შვილს, ხანდაზმულ დედას... სტუმრები გვყავს, უნდა გავათბოთ, უნდა დავაპუროთ ეს ხალხიო – უთხრა ჯალაბობას... საოცარია ადამიანის ბუნება... სულ რაღაც ერთიორი საათის წინ სიცოცხლემოძულებული ადამიანები უკვე საკმაოდ შეზარხოშებულნი ვცდილობდით პროფესიონალ და ბრწყინვალე მომღერალს სიმღერაში ავყოლოდით... მერე... მერე ის იყო, რომ ერთ კვირაში ჩემი მეგობრები წავიდნენ სტუმართმოყვარე ოჯახიდან და საქართველოს საზღვრებიც დასტოვეს... მე კი, ოჯახმა არ გამიშვა არსად... ჩემს გურიელ ჭითანას, გურიელის მეუღლე ნონა თორდხეს და გურიელის დედა ლუბა სოსელხეს ერთმანეთთან მოთათბირების შემდეგ თურმე გადაუწყვეტიათ დავეტოვებინეთ მათ ოჯახში იმ მოტივით, რომ ასე აჯობებდა ჩემთვის, რომ არ იყო მაინცდამაინც სასურველი ახალგაზრდა კაცი საზღვარგარეთ გადავხვეწილიყავი, რომ რამენაირად მოახერხებდნენ და უსაფრთხოდ შემიფარებდნენ... გულწრფელად გითხრათ, მეც არ მქონია დიდი სურვილი საქართველოდან წასვლის, რადგან ჯერ კიდევ მქონდა იმედი, რომ ძალას მოვიკრებდით და შევარდნაძის პუტჩისტურ ხელისუფლებას სამშობლოში დიდხანს არ ვაბოგინებდით, მაგრამ ეს ილუზია აღმოჩნდა... სამწუხაროდ, პროცესები ტრაგიკულად განვითარდა და სულ მალე ზვიად გამსახურდიას მოკვდინებით ეპოქაც დასრულდა... დასრულდა ამქვეყნიური სიცოცხლე უდიდესი მამულიშვილისა და დიდი ღამეც დაიწყო, დღემდე გაუთენებელი ღამე... გამექცა ფიქრები...

თითქმის ნახევარ წელს გაგრძელდა ამ საოცარ ოჯახში ჩემი სტუმრობა... ვერასდროს გადავიხდი იმ სიკეთეს, რომელიც ამ ოჯახის თითოეულმა წევრმა ჩემს მიმართ გამოიჩინა... ერთადერთი რაც შემიძლია, უდავოდ ისაა, რომ უდიდესი მადლიერების განცდით ვიქნები ყოველთვის ჩემი გურიელის, ჩემი ნონას, ქალბატონ ლუბას (უფალმა ნათელში ამყოფოს), ჩემი ენრიკოს, ჩემი ელიკოს მიმართ... რასაკვირველია, ასევე მაქვს მადლიერების განცდა გურიელის და ნონას ახლო-ნათესავების მიმართაც... ვერ დავივიწყებ მათი უახლოესი მეზობლების ამაგსაც... მიყვარს ყველა და ამ სიყვარულით ვიქნები სიცოცხლის ბოლომდე...

და ბოლოს, არ შემიძლია ერთ რამესაც არ შევეხო... ვიცი, რომ ჩემი გურიელის ძვირფას მეუღლეს და ჩემს გულითად მეგობარს, უჭკვიანეს ქალბატონ ნონა თორდიას 25 თებერვალს აქვს იუბილე... სულითა და გულით ვულოცავ მას დაბადების დღეს! ვუსურვებ ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს!..

ნონა, მიგახვამა ერჩქინაში დღას! ირფერი ჯგირობუა სქანწკგმა და სქანი ფანიაწკგმა ცოფედას!..

უდიდესი მადლიერების განცდით,

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ

ილორი

საყვარელიძე-გვარამიას დუეტი და შოთაძის დუმილი

მოქმედი კანონმდებლობით, ნებისმიერი განცხადება, რომელიც შეიცავს სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს, ან მიუთითებს სავარაუდო ჩადენილ დანაშაულზე, ექვემდებარება რეაგირებას. გამომდინარე იქედან, რომ სისხლის სამართლის პროცესში არ გვაქვს მოკვლევის ეტაპი, ასეთ შემთხვევაში დავით საყვარელიძის და ნიკა გვარამიას განცხადებაზე მთავარმა პროკურატურამ გამოძიება უნდა დაიწყოს. თუმცა, როგორც ჩანს, ირაკლი შოთაძის უწყება გამოძიების დაწყებას არ ჩქარობს.

სამართლმცოდნე დავით ასათიანი განმარტავს, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელიც შეიცავს სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს, ან მიუთითებს სავარაუდო ჩადენილ დანაშაულზე, ექვემდებარება რეაგირებას.

„იმან მაჩვენა, ამან მაჩვენა, იმან მომასმენინა – როგორ შეიძლება ეს იყოს პოლიტიკური დებატის საკითხი? თუ ასეთი სახის დანაშაულზე ინფორმაცია ჰქონდა ბატონ საყვარელიძეს, თუ ნებისმიერ სხვა ბატონს, ამდენი ხანი უნდა მიემართათ შესაბამისი ორგანოებისთვის, რომ დანაშაულია მომხდარი, ვიდაცასთან არის უკანონო ჩანაწერი. ეს არის ყველა პასუხისმგებლიანი მოქალაქის პასუხისმგებლობის საკითხი. ახლა დებატების ფარგლებში კი არ უნდა აცხადებდნენ ამას, არამედ გამოძიებისთვის უნდა მიემართათ“, – აღნიშნა ფორ.გე-სთან საუბრისას დავით ასათიანი.

მისივე თქმით, დღევანდელი პოლიტიკური დებატების და პოლიტიკური დისკუსიის ფარგლებში, ოპოზიცია და ხელისუფლების მხრიდან, იმდენად მრავლად არის ერთმანეთის მიმართ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის თაობაზე განცხადებები, ამ ბრალდების გამოძიებას არც ერთი დიდი ქვეყნის გამოძიება და პროკურატურა არ ეყოფა.

„ეს ბრალდება გამოყენებულია უკვე პოლიტიკური დებატის ერთ-ერთ ხერხად. ყველა ამ ინფორმაციაზე და ყველაზე გამოძიების დაწყებას 5 და 10 ახალი პროკურატურა არ ეყოფა. ყველა სიტყვაში უკვე არის დანაშაულზე ბრალდება. წესით, სოლიდურ და ნორმალურ საზოგადოებაში, ასეთ განცხადებაზე რეაგირება უნდა იყოს საგამოძიებო სტრუქტურის მხრიდან. ესენი ყველა დებატში სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში ადანაშაულებენ ერთმანეთს. პოლიტიკოსებმა უნდა ისწავლონ პოლიტიკური დებატების ფარგლებში დარჩენა“, – აცხადებს დავით ასათიანი.

მოსამართლეთა შანტაჟში ეჭვმიტანილი დავით საყვარელიძე აცხადებს, რომ მთავარი პროკურორის ყოფილმა მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა მათ ბიძინა ივანიშვილის ფარული აუდიო ჩანაწერები რამდენიმე მილიონად შესთავაზა. როგორც საყვარელიძემ აღნიშნა, შეთავაზება ნაცვლიშვილმა მას შემდეგ გააკეთა მისი და მისი მეგობრის მისამართით, რაც სამსახურიდან უკვე გაშვებული და განაწყენებული იყო. თუმცა, საყვარელიძის თქმით, იმის გამო, რომ აუდიო ჩანაწერის გამოსყიდვისთვის საკმარისი თანხა არ გააჩნდა, ეს „გარიგება“ არ შედგა.

„ნარკომანმა და მექრთამე ლაშა ნაცვლიშვილმა, რომელიც არ ფხიზლდებოდა უშიშროების მინისტრის მოადგილეობის პერიოდში და საკუთარ ოთახში იკეთებდა წამალს, ერთი წელიც კი ვერ გასტანა ბიძინა ივანიშვილის პროკურატურაში მთავარი პროკურორის მოადგილედ. ასევე, კორუფციაზე და მექრთამეობაზე გააგდეს იქიდან. არ ვაპირებდი ამ ნაძირალაზე საუბარს, მაგის ვენებს და ტვინს აღარაფერი ეშველება და სჯობს ტვინი მაინც გამოირეცხოს.

ჩემი ერთ-ერთი მეგობარი, რომლის სახელსაც არ დავასახელებ, დაგიდასტურებთ, რომ ნარკომანი და მექრთამე ლაშა ნაცვლიშვილი 2013 წლის ბოლოს მას შეხვდა ევროპის ერთ-ერთ დედაქალაქში მას შემდეგ, რაც უკვე გაგდებული იყო სამსახურიდან და განაწყენებული რეჟიმზე.

მან რამდენიმე მილიონად შემოგვთავაზა გვეყიდა ბიძინა ივანიშვილის სატელეფონო ჩანაწერების და ფარული ჩანაწერების ამსახველი აუდიო მასალა. მე როგორც მახსოვს, მან მოასმენინა ჩანაწერი ჩემს მეგობარს. რამდენადაც ჩვენ მილიონები არ გვქონდა, ვერ ვიყიდეთ. ნარკომანი ნაცვლიშვილი, ბოტასების ქურდი ფარცხალაძე, ბესელიები და ხაინდრავები მართავენ დღეს პროკურატურას და იმ ინსტიტუტებს, რომელიც ჩვენ რუდუნებით ვაშენეთ“, – განაცხადა დავით საყვარელიძემ.

საყვარელიძის ბრალდებას ამაგრებს ნიკა გვარამია და ამტკიცებს, რომ ბიძინა ივანიშვილის შესახებ ფარული ჩანაწერები ერევანში ინახება. „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ამბობს, რომ ლაშა ნაცვლიშვილმა მას ფარული ჩანაწერები რამდენიმე მილიონად შესთავაზა. გვარამიას თქმით, მზადაა პროკურატურას მიაწოდოს ინფორმაცია, თუ როგორ გადაიტანა ნაცვლიშვილმა ე.წ. „ზეტ“ მასალები ერევანში.

„როდესაც ლაშა ნაცვლიშვილის მდგომარეობა შეიცვალა მან დაიწყო ვაჭრობა მის ხელთ არსებული ფარული უკანონო ჩანაწერებით, ე.წ „ზეტ“ მასალებით. ძალოვანი ორგანოს თანამშრომლებმა იციან, ეს რას ნიშნავს. ეს ნიშნავს მასალებს, რომელიც უკანონო მოსმენებია და გასაიდუმლოებულად ინახება. მას ეს მასალები დღემდე შენახული აქვს ერევანში. ასე მითხრა, ყოველ შემთხვევაში, რომ მის მეგობართან ინახება ეს მასალები ერევანში, დიდი რაოდენობით და მათ შორის არის ბიძინა ივანიშვილის უკანონო მოსმენებიც, ერთ-ერთი მათგანი მან მომასმენინა.

ბოლომდე არ მისმენია, მაგრამ მან უბრალოდ დამარწმუნა, რომ ამგვარი მასალები აქვს. ის ესაუბრებოდა თავის თანამშრომელს. მან მითხრა, რომ ეს დაჯდება რამდენიმე მილიონი დოლარი. მე ვუთხარი, რომ ჩემს ინტერესში არ შედის, თუმცა, როგორც მედიის ინტერესში, ეს შედიოდა, მაგრამ არ მქონდა ფული. მან მთხოვა, რომ დამეკავშირებინა კიევში მყოფ „ნაციონალების“ ლიდერებთან და ერთ-ერთი იყო დავით საყვარელიძე“, – აცხადებს ნიკა გვარამია.

გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილეების სკანდალურ ბრალდებებს, რომ ჩანაწერებს რამდენიმე მილიონად სთავაზობდა, აგონიურ ბოდვას უწოდებს მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი. მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს ნაცვლიშვილი სოციალური ქსელით გამოეხმაურა.

„როგორც ჩანს, ზუსტად იქ მოვარტყი, სადაც ვუმიზნებდი. ემწარათ სიმართლე დანაშაულზე წასწრებულებს და ჭინკების მორიგი შაბაში მოაწყვეს სტუდიაში, თანაც immediately... მოაწყვეს, რათა კიდევ ერთხელ თვალნათლივ გვენახა, რომ სიყალბე და ძალადობა იყო და რჩება „ნაციონალური მოძრაობის“ საფირმო ნიშნად; რომ ცილისწამება და მორალური ტერორი-და შემორჩათ მწირი პოლიტიკური არსენალიდან; რომ გარდაუვალი კატასტროფის გაჭიანურებული მოლოდის გამო აგონიაში ჩავარდნილი, ღვარძლით სნეული ბოროტი გონება მხოლოდ სიშლეგეს გამოიმუშავებს. და სწორედ იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, ზუსტად იქ მოვარტყი, სადაც ვუმიზნებდი, – მათ მიმართ ნათქვამ უკლებლივ ყველა სიტყვას, კიდევ ერთხელ, სრული პასუხისმგებლობით გიმეორებთ.

P.S. რამდენიმე შეტყობინება მივიღე – მედია კომენტარს მთხოვს ე.წ. ბრალდებებზე: აგონიური ბოდვის კომენტირება როგორ შეიძლება, მეგობრებო, – ეს არა მხოლოდ ღირსების შემლახავი, არამედ სამედიცინო თვალსაზრისითაც კონტრ-პროდუქტიულია“, – წერს ლაშა ნაცვლიშვილი.

ამ ისტორიაში ერთი ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი დეტალი გახლავთ სწორედ ის, რომ თუკი „ნარკომანი“ და „მექრთამე“ ნაცვლიშვილი მილიონად სთავაზობდა უკანონო ფარულ ჩანაწერებს, რატომ არ მიმართეს გენერალური პროკურორის ყოფილმა მოადგილეებმა დავით საყვარელიძემ და ნიკა გვარამიამ გამოძიებას, მით უფრო, რომ მათთვის მშვენივრად იყო ცნობილი, რომ აღნიშნული შეთავაზება შეიცავდა დანაშულის ნიშნებს.

რატომ არ მიმართეს პროკურატურას? – სვამს კითხვას ექსპერტი დავით ზარდიაშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ამ კითხვაზე გონივრული პასუხი არ აქვთ. ზარდიაშვილი დარწმუნებულია, რომ საყვარელიძე-გვარამიას დუეტმა გამოგონილი ისტორია მოჰყვა.

„რას აღარ აბრალებენ იგივე ბიძინა ივანიშვილს. უკან დასახევი გზა არ აქვთ, მაგრამ რაც ყველაზე მძიმეა, თავის მიზანს აღწევენ, რადგან ახლა მთელი საზოგადოებრივი დისკუსია წავა ამ მიმართულებით – მართლა მოხდა თუ არა, იქნება დიდი მსჯელობა და ამ დროს, მთავარი საკითხი დარჩება დღის წესრიგის მიღმა, რაც არის მათი მიზანი. იგივე მართვის სტილი ჰქონდა სააკაშვილსაც, არარსებულის შეთხზვა და მერე იმაზე ენერგიის ხარჯვა, რომელსაც არავითარი შედეგი არ ჰქონდა. ამ საქმესაც არავითარი შედეგი არ ექნება, მაგრამ ეჭვის გაღვივება მოხდა“, – აცხადებს დავით ზარდიაშვილი.

მისივე თქმით, რომ იყოს სამართლებრივი სახელმწიფო და ჩამოყალიბებული სამართლებრივი კულტურა, პროკურატურა უკვე დაიწყებდა გამოძიებას და იგივე ცილისწამებისთვის ბრალს წაუყენებდა დავით საყვარელიძეს და ნიკა გვარამიას.

„დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ მოხდება. ასეთ გამოხტომებს იყენებენ როგორც შანტაჟის იარაღს, პრაქტიკულად აშანტაჟებენ ხელისუფლებას. რაც ყველაზე დიდი საოცრებაა – გასდით. თავის დროზე იყო მათ მიმართ სხვა პოლიტიკა გასატარებელი, ეს რეჟიმი სამართლებრივ შეფასებას უნდა დაქვემდებარებოდა და მერე აღარ ექნებოდათ ამდენი შანტაჟის საშუალება.

მთელი ჩვენი საზოგადოება არის მათი მძევალი, ხან რას იტყვიან და ხან რას, უკვე მათი მოსმენა შეუძლებელი ხდება. მთელი უბედურება გახლავთ ის, რომ ქვეყანას დღის წესრიგს უქმნის საყვარელიძე და გვარამია. როდემდე შეიძლება ამის ატანა, არ ვიცი“, – აღნიშნა ფორ.გე-სთან საუბრისას დავით ზარდიაშვილმა.

შრომის საღიდებელი

სიტყვა “შრომის” აღქმა სხვადასხვა ადამიანების მიერ სხვადასხვანაირად ხდება. ადამიანს, რომელსაც ცხოვრების გამოცდილება გააჩნია. რომელსაც ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად გამოტანილი აქვს სათანადოდ სწორი დასკვნები, სიტყვა შრომის გაგონებაზე უდიდეს სიხარულსა და კმაყოფილებას განიცდის. მის გულს სიამოვნების გრძნობით აღავსებს, დარწმუნებულს იმაში, რომ რაც დასაბამიდან ამ ქვეყნად შექმნილა კარგი, დიდებული, მშვენიერი, თვალწარმტაცი, მხოლოდ და მხოლოდ შრომა-გარჯის, შრომისადმი სიყვარულის შედეგია. დარწმუნებული ვარ დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობა შრომისადმი ასეთი დამოკიდებულებისაა და ასეთი ადამიანები მუდამ გამარჯვებული გამოდიან. ასეთი ადამიანები სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობენ არა მხოლოდ სიცოცხლეში, არამედ იმ ქვეყნადაც, სამუდამო განსასვენებელში დავანების შემდეგაც.

მაგრამ, სამწუხაროდ, არის ადამიანების გარკვეული ნაწილი, რომლებსაც სიტყვა შრომის გაგონებაც არ სურთ, სიტყვა შრომის გაგონებაზე აურჟოლებთ და აკანკალებთ. ასეთი ადამიანები შრომისმოყვარე ადამიანებს სძულთ, ეზიზღებათ, მისალმებაც არ უნდათ, ოღონდ, უხერხულობის გამო შეიძლება მიესალმონ კიდეც.

შრომა, ცხადია, სხვადასხვა სახისაა: ფიზიკური, გონებრივი, სასარგებლო, მავნებლური და ასე შემდეგ.

ფიზიკური და გონებრივი შრომის შერწყმის შედეგია ის წარმატებები და მიღწევები, რომლებიც ყველა ჩვენთაგანისათვის არის ცნობილი; ცათამბჯენები, ჰესები, სასტუმროები, ფაბრიკა-ქარხნები, გასაოცარი მიღწევები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, პოეტებისა და მწერლების მიერ შექმნილი ბრძნული ნაწარმოებები, ჟურნალისტების, პუბლიცისტების, ხელოვნების მუშაკების მიერ შექმნილი თხზულებები, ხელოვანთა ნატიფი ხელით გამოძერწილი უკვდავი ქმნილებები და მრავალი სხვა საოცრებანი.

სანამ ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლე იარსებებს, ამ შედევრთა ავტორები უკვდავყოფილნი იქნებიან. ასეთი ადამიანები მუდამ მისაბაძნი, სამაგალითონი არიან წესიერი, შრომისმოყვარე ადამიანებისთვის.

ეს ყველაფერი სასარგებლო შრომის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებობს საპირისპირო, მავნებლური შრომა. მხედველობაში მყავს ქურდები, ყაჩაღები, მძარცველები, რომლებიც საზოგადოების ზიზღსა და შეჩვენებას იმსახურებენ. მართალია, მათი შრომა, საბოლოო ჯამში, ყოველთვის მარცხით, ციხეებში ყოფნით, ზნეობრივი, მორალური და ფიზიკური განადგურებით მთავრდება, მაგრამ მაინც ბოგინობენ ამ ქვეყნად, თუმცა, ცხადია, მათ არსებობას აზრი არ გააჩნია.

წესიერი, პატიოსანი შრომა კეთილშობილური საქმეა. ასეთი შრომა ყოველთვის იყო დაფასებული და მომავალშიც ასე იქნება. ფრიდრიხ ენგელსი საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შრომამ შექმნა თვით ადამიანიო. მართალია ენგელსი ადამიანის ფიზიკურ გაჩენა-შექმნას კი არ გულისხმობდა, არამედ გაჩენის შემდგომ ადამიანის განვითარებას, სრულყოფას, ადამიანური თვისებების საბოლოოდ ჩამოყალიბებას.

ასე რომ, ადამიანის როლს შრომისადმი დამოკიდებულებაში პირადად მე ასე გამოვხატავდი: არავითარი თილისმა, არავითარი ზებუნებრივი ძალა, ქვეყნის ცხოვრებაში შრომითი საქმიანობით შექმნილი სილამაზის, მშვენიერების, საოცრებების შემოქმედი არის მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი, ადამიანი ყოვლისშემძლე, ადამიანი ბუმბერაზი.

მურმან სანგულია,
ინჟინერ-ტექნოლოგი, აფხაზეთიდან
იძულებით გადაადგილებული

ვიზალიბერალიზაცია — ისტორიული აქტი?

საქართველოს ხელისუფლება ზეიმობს – არანაკლებ, მასზე მიტმასნილი საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ესაოდა ევროპაში უვიზო მიმოსვლის საშუალება მოგვცეს და მალე ევროკავშირის წევრადაც მიგვიღებენო.

ხარობს საპარლამენტო უმრავლესობა. ხარობს **„ნაცური“** ოპოზიცია. ორივენი დაბეჯითებით გვიმტკიცებენ, ვის უნდა უმადლოდეს საქართველოს მოსახლეობა ამ საშური საქმის წარმატებით დასრულებაში. სახელდახელოდ გამართულ ბრიფინგზე **„ნაცმა“ „სპოუკსმენმა“** ხაზგასმით განაცხადა, რომ მათ დაიწყეს ამ საკითხზე ლაპარაკი ევროკავშირთან და ეს 2006 წელს მოხდა. მისი თქმით, მაშინ არც არვინ იფიქრებდა, რომ საქართველოს **„ვიზალიბერალიზაციას“** არგუნებდნენ. **„დღესაც არვინ დაიჯერებს, რომ საქართველოს ევროკავშირში მიიღებენ, მაგრამ ეს უდავოდ მოხდება“,** – თქვა მან.

თქვენს პირს შაქარი, პატრიოტო **„ნაცებო“**, მაგრამ იქნებ აგვიხსნათ, როდის ექნება ამას ადგილი? თვით ევროკავშირში შექმნილი ვითარება გვაფიქრებინებს, რომ არათუ ახალი წევრებით ამ კავშირის **„გამდიდრებაა“** მოსალოდნელი, არამედ პირიქით. დიდი ბრიტანეთის მაგალითი არის ამის მიმანიშნებელი.

ორგანიზაციას, რომელსაც მისი წევრები დიქტატურაში ადანაშაულებენ და მისი სტრუქტურის გადახედვას მოითხოვენ, მთლად დალაგებულად არ უნდა ჰქონდეს საქმე.

როდესაც ევროპარლამენტის წევრები საფრანგეთიდან, ნიდერლანდებიდან, იტალიიდან, სხვა ქვეყნებიდან დაუფარავად აცხადებენ, რომ ევროკავშირი თუ საფუძვლიანად არ გადაკეთდება, ისინი დატოვებენ ამ ორგანიზაციას, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატი მარინ ლე პენი – ევროპარლამენტის წევრი, დაბეჯითებით აცხადებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში ის საფრანგეთს ევროკავშირიდან გამოიყვანს, ევროკავშირს მთლად დასამშვიდებლად არ უნდა ჰქონდეს საქმე.

და ბოლოს, არცთუ უმნიშვნელო რამ – აშშ-ს პრეზიდენტის ნეგატიური დამოკიდებულება ევროკავშირთან და მისი ამ კავშირის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები, რასაც ბრიუსელელთა კრიტიკა ახლავს თან. უდავოდ უპრეცედენტო მოვლენასთან გვაქვს საქმე – აშშ-ს **„გოშია“** ევროკავშირი აუგად მოიხსენიებს საკუთარ პატრონს, რომლის გარეშე ა.წ. 20 იანვრამდე (აშშ-ს პრეზიდენტის ინაუგურაცია) სიტყვასაც არ ძრავდა. ძვირად დაუჯდება ევროკავშირს ტრამპის გინება.

აშშ-ი უძლიერესი ქვეყანაა – ფინანსურად, ეკონომიკურად, სამხედრო ძლიერების თვალსაზრისით, რაც მხედველობიდან გამორჩა ბრიუსელელ ტუსკს. ტრამპის პოზიციით შეწუხებული ევროკავშირელი მოხელეები, შიშის თვალით უყურებენ აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის ქმედებას. განსაკუთრებით აფიქრებთ ტრამპის ნათქვამი – ყველასთან ცალკე ურთიერთობა ანუ არა კავშირთან, რაღაც კოლექტიურ ორგანოსთან, არამედ მის წევრებთან – იტალიასთან, გერმანიასთან, საფრანგეთთან და ა.შ.

ცხადზე უცხადესია, რომ ტრამპს ევროკავშირთან არავითარი **„თავისუფალი ბაზარი“** არ ექნება. და კიდევ ერთი რამ – ჩვენზე ადრე ვიზალიბერალიზაციით **„გაბედნიერებული“**, ჩვენსავით ევროკავშირთან ასოცირებული მოლდოვას პრეზიდენტის დოდონის განცხადება – საპარლამენტო არჩევნებში მისი მომხრე სოციალისტების გამარჯვების შემთხვევაში, მოლდოვა უარს იტყვის ევროკავშირის ასოცირებულ წევრობაზე.

დოდონი პრაგმატული პოლიტიკოსია, ხოლო მისი ნათქვამი ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით საყურადღებო. **„ორ წელზე მეტია გვაქვს ევროპასთან უვიზო მიმოსვლა, მაგრამ მას ქვეყნისთვის არაფერი მოუტანია“,** – თქვა მან. მე კი ჩემის მხრიდან დავამატებ, რომ ეს საკითხი უდავოდ არ არის ის, პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა რომ **„ისტორიულად“** მონათლოს.

„დღეს, მართლაც დიდი წარმატების დღეა საქართველოსთვის! დღევანდელი გადაწყვეტილება იქნება დასტური იმისა, რომ ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების სტრატეგიას მოაქვს კონკრეტული შედეგები საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის“.

რა შედეგებზეა ლაპარაკი ძნელი გასაგებია. შედეგები სულ მალე გახდება ცნობილი – მაშინ, როდესაც **„ვიზალიბერალიზაცია“** ამოქმედდება.

საქართველოს რადიოების მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით ჩანს, რომ მოსახლეობამ არ იცის რაზეა ლაპარაკი. მას ჰგონია, რომ ვიზალიბერალიზაცია ნიშნავს ევროპაში უპრობლემო შესვლა-გადაადგილებას, ისე, როგორც თბილისიდან, მცხეთაში. რესპონდენტთა საკმაო ნაწილი აცხადებს, რომ ევროპაში კი არა, გლდანიდან ვაკეში ვერ გადაადგილებულან უსახსრობის გამო და ევროპაში როგორ წავლენ, რაშიც ვეთანხმები.

ვინ ისარგებლებს ამ შედავათით? ყველა ის, ვინც აქამდე სარგებლობდა – მრავალჯერადი, მრავალწლიანი ვიზის მიღების შემთხვევაში. ეს, ის კატეგორიაა, ფულიც რომ აქვს და შესაბამისი გავლენაც; გარდა ამისა სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლები, რომელთა ხელფასი საარაკოა, უბრალო მომაკვდავებთან (მოსახლეობის 90%) შედარებით.

მშიერი კაცის ევროპაში მოგზაურობა ისეთივე დაუჯერებელი რამ არის, როგორც საქართველოს ევროკავშირში გაწევრება. მაშ, რა ახარებს ხელისუფლებას – ის ხომ არა, თავისი მოსახლეობა სამშობლოში ვერ დაასაქმა და ევროპაში უპირებს დასაქმებას?

ამას ცხადია ხელისუფლება ხმამაღლა ვერ იტყვის, ვინაიდან კატეგორიულად შეეწინააღმდეგება **„ვიზალიბერალიზაციის“** მოთხოვნებს. ხელისუფლებამ რაღაც გააკეთა და ალბათ ამით ხარობს. არის სხვა ვარაუდებიც, რომლის მიხედვითაც ხელისუფლება არ უნდა ზეიმობდეს, მაგრამ ის ზეიმობს – აყრის რა მტვერს ხალხს თვალში – ნახეთ, რაოდენ დიდი საქმე გაგიკეთეთ, ქართველებოო – აცხადებს ის და ერთი წუთითაც არ ფიქრობს ევროკავშირის **„ხელგაშლილობაზე“**, რომელმაც არა მარტო **„ვიზალიბერალიზაცია“** გვარგუნა, არამედ ასოცირებული წევრობაც.

ნუთუ ხელისუფლებას მართლა ჰგონია, რომ ევროკავშირის დავალებების შესრულების გამო მივიღეთ ასოცირება და უვიზო მიმოსვლა? როგორც ჩანს, არათუ ჰგონია, დარწმუნებულიცაა აღნიშნულის ჭეშმარიტებაში და ერთი წუთითაც არ ფიქრობს იმ მზაკვრული გეგმის შესახებ, რომელიც ზოგიერთმა აღმოსავლეთ ევროპულმა (პოლონეთი), სკანდინავიურმა ქვეყანამ (შვედეთი) და სხვებმა შეიმუშავეს რუსეთის გავლენის სფეროდან უკრაინის, საქართველოს, მოლდოვას, ბელარუსის გამოსაყვანად.

ბელარუსთან არ გაუვიდათ – ლუკაშენკოს მტკიცე პოზიციის გამო, მაგრამ დანარჩენ სამთან გაუვიდათ, თუმცა უკრაინის პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე. მან კარგად იცოდა, რომ რუსეთთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა დააქცევდა უკრაინას.

იანუკოვიჩმა ბრიუსელს სთხოვა ხელმოწერამდე სამთა – უკრაინა, რუსეთი, ევროკავშირის მოლაპარაკების გამართვა, მაგრამ ევროკავშირის მაშინდელი შეფი ჟოზე ბაროზუ იყო შეუვალი – ან რუსეთი, ან ევროკავშირიო – მიახალა იანუკოვიჩს. იანუკოვიჩმა ხელმოწერისგან თავი შეიკავა, რაც ძვირი დაუჯდა. სახლში დაბრუნებულს აშშ-ევროკავშირის მიერ აგორებული **„მაიდანი“** დახვდა, რასაც მისი ხელისუფლების მოძალადური დამხობა მოჰყვა.

უკრაინის მაგალითი უნდა გვაფიქრებინებდეს, რომ ასოცირება და პლიუს **„ვიზალიბერალიზაცია“** ანტირუსული პოლიტიკის ნაყოფია და არა ევროკავშირის ფართო ჟესტი ქართველთა კარგად ყოფნისთვის გადადგმული. ევროპასთან უკრაინის ასოცირების ხელშეკრულებაზე უარის თქმას მოჰყვა სამოქალაქო ომი, რომელიც აღმოსავლეთ უკრაინაში დღესაც გრძელდება. აშშ-ს ყოფილმა ადმინისტრაციამ და ევროკავშირმა გაითამაშეს რუსეთის საწინააღმდეგო კარტი, რაც **„მუდამ ცხელ“** უკრაინას გულისხმობდა.

საბჭოთა კავშირის ყველაზე მოწინავე რესპუბლიკა, შემდეგ დამოუკიდებელი უკრაინა, ობამასა და მისი ადმინისტრაციის ფინანსურ-პოლიტიკური მხარდაჭერით, **„ყავისფრად“** შეიღება. ფაშისტური იდეების მატარებელი ულტრა ნაცები მოვიდნენ ხელისუფლებაში და მათთან ერთად ქურდი ოლიგარქები. ისინი რუსეთის მოსისხლე მტრებად იქცნენ, რითაც პირნათლად შეასრულეს აშშ-ს ყოფილი ადმინისტრაციის დავალება.

დღეს, სხვა ვითარებაა. აშშ-ს პრეზიდენტის ტრამპის განცხადებიდან გამომდინარე, ეს ქვეყანა აღარ ჩაერევა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში; აღარ მოაწყობს ე.წ. ფერად-ფერად რევოლუციებს. მაგრამ რა ეშველება ასოცირებულ, დაქცეულ, ტერიტორიებდაკარგულ უკრაინას?

ასე, რომ ასოცირებული წყალობა, გაღებული ევროკავშირის მიერ, სულაც არ იყო წყალობა. ის ანტირუსული დიდი გეგმის ნაწილი იყო, რომელიც უკვე მოძველდა. არ ყოფილიყო დასავლეთისთვის მტერი რუსეთი და არც ასოცირებული წევრობა იქნებოდა და არც უვიზო მიმოსვლა. რაც შეეხება თვით ვიზალიბერალიზაციას — ის უდავოდ საჭიროებს სისტემატურ განმარტებას, ვინაიდან ხალხს ჰგონია, რომ აიღებს ბიომეტრიულ პასპორტს და გაემგზავრება ევროპაში, სადაც დაიწყებს მუშაობას, სწავლას და ა.შ. რაც შეუძლებელია, ვინაიდან საქართველოს მოქალაქეს, უამრავ საბუთთან ერთად, რომელიც საზღვარზე ექნება წარსადგენი, უნდა ესმოდეს, რომ 90 დღის შემდეგ თუ არ დატოვებს ქვეყანას, სადაც იმყოფება, დეპორტაციას გაუკეთებენ. ის, იქ ოფიციალურად ვერ დასაქმდება.

ევროპის ქვეყნების ღირსშესანიშნაობების მონახულების მსურველი არის საქართველოში, მაგრამ მათი რაოდენობა ცოტაა. გაცილებით მეტია ისინი, ვინც (ვითომ დროებით) სამუდამოდ აპირებს ქვეყნის დატოვებას. მათ მუშაობა უნდათ, საკუთარი თავისა და ოჯახის გამოსაკვებად. ეს კატეგორია, დიდის გაჭირვებით და ფულით ახერხებდა ევროპის რომელიმე ქვეყნის ტურისტული ვიზის მიღებას, რის შემდეგაც არალეგალურად რჩებოდა იქ. აი, სწორედ ამ კატეგორიის ხალხისთვის არის **„ვიზალიბერალიზაცია“**. ისინი, ნაცვლად 90 დღისა, ევროპაში სამუდამოდ დარჩებიან, როგორც არალეგალური მუშახელი.

უვიზო მიმოსვლამ არა მარტო მოლდოვას არ შესძინა არაფერი, არამედ გააუარესა მისი მდგომარეობა, ისე, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, ისე, როგორც ბულგარეთ-რუმინეთის. რა გაუარესებას აქვს ადგილი? – იკითხავს მავანი. პასუხად შეიძლება ითქვას – სახელმწიფოებრიობის გაუარესებას. სახელმწიფო, იქ მცხოვრები ადგილობრივი (აბორიგენი) მოსახლეობის რაოდენობაცაა. მცირემოსახლიანი ქვეყნები არცთუ კომფორტულად გრძნობენ თავს, მიუხედავად ზოგიერთის აწყობილი ცხოვრებისა და ისურვებდნენ უფრო მეტ მოსახლეს.

ზემომოყვანილმა ქვეყნებმა თავისუფალი, უვიზო მიმოსვლით მოსახლეობის თითქმის ნახევარი დაკარგეს. დაკარგული ნახევარი ევროკავშირის ქვეყნებშია გაბნეული და როგორც გამოკითხვები გვაუწყებენ, არ აპირებს სამშობლოში დაბრუნებას. და ამას ადგილი აქვს ევროკავშირის ისეთ წევრ ქვეყნებში, როგორებიც ზემოჩამოთვლილი ქვეყნებია.

იქ, როგორც გუშინ, ისე დღეს გაცილებით უკეთესი ეკონომიკურ-სოციალური პირობები იყო და არის, ვიდრე საქართველოში. სწორედ ცუდი ეკონომიკურ-სოციალური ვითარების გამო მიატოვა საქართველო მილიონზე მეტმა ადამიანმა. მათი უმეტესობა მეზობელ რუსეთში ცხოვრობს, დანარჩენი – ევროპა-ამერიკაში. არც ისინი აპირებენ სამშობლოში სამუდამოდ დაბრუნებას. ბევრმა მათგანმა იქ ოჯახი შექმნა, იშოვა სამსახური, მოქალაქეობაც მიიღო, ფაქტიურად იქაური გახდა. და ეს ყველაფერი მკაცრი სავიზო რეჟიმის პირობებში მოახერხა.

„ვიზალიბერალიზაცია“ ძალაუნებურად უბიძგებს საქართველოში დარჩენილ ხალხს ევროპას მიაშუროს – უკეთესი აწმყოსა და მომავლისთვის, რაც საბოლოო ჯამში მცირერიცხოვანი საქართველოსთვის მძიმედ დასრულდება.

ქვეყნის ხელისუფლებას აქვს თუ არა ბერკეტი იმისა, რომ ამ პროცესს გაუწიოს წინააღმდეგობა?! პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ არ აქვს! მან არ იცის, როგორ მოიქცეს. მან არ იცის **„ვიზალიბერალიზაციით“** როგორ წყალს უყენებს ქვეყნის არსებობას. ცხადია, ამას ხვალ არ ექნება ადგილი, მაგრამ ზეგ რომ ექნება – უდავოა.

დიახ! ხელისუფლება ვერც საზღვრებს ჩაკეტავს და ვერც ხალხს აუკრძალავს უცხოეთში გამგზავრებას, მაგრამ მას ხომ შეუძლია ღრმა ანალიზი გაუკეთოს ამ პროცესს და შედეგიდან გამომდინარე იფიქროს?

როგორც ჩანს არ შეუძლია, რაც განვლილი 25 წლის განმავლობაში დამტკიცდა კიდევაც. ხელისუფლებას თავი მარტო ქუდის დასახურად არ უნდა ჰქონდეს, თავს სხვა ფუნქცია აქვს, ანუ თავში არსებულ ტვინს – და ეს უმთავრესი ფუნქცია ფიქრი და განსჯა, სწორი დასკვნის გამოტანაა. დღესდღეობით ხელისუფალთა თავები მხოლოდ ქუდისთვის გამოიყენება და სხვა არაფრისთვის, თორემ უვიზო მიმოსვლას (უფრო სწორად გამგზავრებას) ისტორიულად არ ჩათვლიდა. არცთუ დიდი დრო დასჭირდება იმის დანახვას, თუ რამდენად „ისტორიული“ გამოდგება ევროკავშირის გადაწყვეტილება ისედაც მცირემოსახლიანი საქართველოსთვის.

ჯ. ჰამლეტიძე,
პოლიტოლოგი

ილორი

თათია მოლაშვილი: ვაცხადებ, სულხანი სიკვდილამდე სააკაშვილმა, ადეიშვილმა და ბოკერიამ მიიყვანა!

არაკაცთა ხელით დაღუპული ადამიანების სულები ვერ მოისვენებენ, ვიდრე მათ ჯალათებს ღირსეული არ მიეზღვებათ!

„სულხანისთვის არასდროს დამისვამს კითხვა როგორ აწამებდნენ ციხეში, რადგან მერიდებოდა, არ ვაძლევდი თავს უფლებას, არც მას არ უთქვამს ჩემთან არაფერი, მაგრამ ხომ ვგრძნობდი, რაშიც იყო საქმე. სულხანის ინტერვიუებით ვიგებდი ამ ამბებს. ან რა გაგება მინდოდა, ვუყურებდი ჩემს ქმარს, რომელიც ციხიდან სულ სხვა ადამიანი გამოვიდა... სულხანს რომ შეხედავდი, იქ საჭირო იყო რამე კითხვის დასმა?!" – აცხადებს **„აიპრესთან"** საუბრისას სულხან მოლაშვილის მეუღლე.

თათია მოლაშვილი იმ დღეს იხსენებს, როცა პირველად ნახა ნაწამები მეუღლის ფოტოები.

– თათია, როგორც ვიცი, თქვენ პირველად სწორედ მაია ნიკოლეიშვილმა გადმოგცათ სულხანის წამების ამსახველი ფოტოები...

თათია მოლაშვილი: დიახ, მაიამ ჩაატარა ექსპერტიზა... მაიას რიყესთან შეეხვდი, მე მაშინ არც ვიცოდი მაია ვინ იყო. დამირეკა, თქვენთან საქმე მაქვს და ისეთ ადგილას შემხვდი, რომ არავინ დაგვინახოსო. შეეხვდით, სულხანი ამ დროს უკვე მეშვიდეში საპყრობილეში იყო, იმ პირობებში, რაც წამების ტოლფასი კი არა, წამებაზე უარესი იყო. მაიამ მითხრა, სულხანმა გადმოგცა, კარგად ვარ, არ ინერვიულოსო და უცებ მაძლევს იმ საშინელ ფოტოებს. მე ვუთხარი, ქალბატონო მაია ამას ჰქვია კარგად ყოფნათქო?! ვნახე უკვე, რა დღეშიც იყო სულხანი. მაიას გადაღებული ფოტოები გავრცელდა შემდეგ...

ჩვენ არ გვქონდა სულხანთან შესვლის უფლება თითქმის 2 წელი, სულხანი ეხვეწებოდა, ბავშვები მაჩვენეთ ვაკოცებ ერთხელო... ელენე 1 წლის და 8 თვის იყო, ეხვეწებოდათ, რომ ელენე ეჩვენებინათ, ელენე არ შეიძლება, რადგან ინფორმაციას გაიტანსო... ელენეს ლაპარაკიც კი არ შეეძლო... ეგენი ადამიანები არ იყვნენ...

თათია მოლაშვილი: ფაქტი სახეზეა, ვინც დამნაშავეა სულხანის წამებაში და მის ასეთ გაუბედურებაში, ყველა დაუსჯელია დღეს. ისიც კი აწუხებდათ, რომ სულხანი ცოცხალი გადარჩა და სუნთქავდა. სულხანის ლიკვიდაცია ციხეშიც უნდოდათ, უბრალოდ, ვერ მოასწრეს, არ ელოდებოდნენ ასე თუ გახმაურდებოდა სულხანის წამების ფაქტი და მთელი მსოფლიო გაიგებდა.

– რატომ ჰქონდათ სულხანის მიმართ ასეთი დამოკიდებულება, რა იყო ამის რეალური მიზეზი?

– მიზეზი ის იყო, რომ სულხანს ჰქონდა ის ღირებულებები, რაც მათ არ გააჩნდათ. ვერ იტანდნენ ეგენი კაცებს, ქართველებს, მართლმადიდებლებს, ოჯახის მოყვარულ ადამიანებს. თვითონ შვილებს გადაიფარებენ, საკუთარი ტყავის გადასარჩენად.

სულხანს ჰქონდა შეთავაზება გამოდი და თქვი, შევარდნაძე ვაკუუმშია, სრულ ინფორმაციას ვერ ფლობს, ქვეყანაში რა ხდებაო. რევოლუციამდე ურეკავდნენ, მომავალი მაღალჩინოსნები და ეუბნებოდნენ, გადმოდი ჩვენთან, დაადე ხელი შევარდნაძეს, და ყველაფერი კარგად იქნებაო. თანამდებობასაც შეინარჩუნებ და ხელშეუხებელიც იქნებიო, მაგრამ სულხანმა ეს არ გააკეთა. თავის ღირსებას, კაცობას ვერ უღალატა. ქვეყანას ვერ უღალატა.

თავი არ დაუხარა არავის და უკან არ დაიხია, გამოაქვეყნა და საჯარო გახადა ის მასალები, რაც სააკაშვილის კორუფციულ გარიგებებზე ჰქონდა, როცა ეს უკანასკნელი იუსტიციის მინისტრი იყო.

ესენი: სააკაშვილი, ბოკერია, ადეიშვილი და მერაბიშვილი არაკაცების ხროვაა. მე გთხოვთ, რომ ზუსტად ისე დაწეროთ, როგორც ვამბობ. ეს ჩემი უფლებაა და მე მაქვს ამის უფლება.

– თქვენ თქვით, რომ სულხანს ჰქონდა მიხეილ სააკაშვილის კორუფციაში მამხილებელი მასალები. ხომ არ იცით, სად არის ეს მასალები?

– ყველაფერი წაიღეს. ვალერი გრიგალაშვილი ერთ ღამეს შეიჭრა კონტროლის პალატის არქივში და და გაზიდეს. 2 თუ 3 მანქანა გაიტანეს, ყველაფერი რაც ეხებოდა სააკაშვილს. ყველაფერი გაანადგურეს.

კადრებია ტელევიზიებიდან გადადგურებული. ღამის სამ საათზე რომ ჩაუტარეს სულხანს სასამართლო, ამის კადრები აღარ არსებობს ფიზიკურად არც **„იმედში"** და არც რუსთავი 2-ში. ყველა გვეუბნება არ გვაქვსო.

– ქალაქის მაშინიდელმა პროკურორმა, ვალერი გრიგალაშვილმა არაერთხელ გააკეთა განცხადება, რომ გამოძიება კანონის სრული დაცვით ჩატარდა. თქვენ რა კონტრარგუმენტები გაქვთ მისი ამ განცხადების წინააღმდეგ?

– ვალერი გრიგალაშვილი იმასაც ამბობს, ციხეში სულხან მოლაშვილს აპარტამენტები და ევრორემონტი ჰქონდაო.

სულხანს საათის ქონის უფლებაც კი არ ჰქონდა, არც კალენდრის, არც სინათლის, დღეს ინტერნეტიდან დაწყებული, ტელევიზორით დამთავრებული ყველაფერი აქვთ და ისე აგზავნიან და ავრცელებენ იმ თავიანთ მდგომარეობას.

სარდაფში, სადაც სულხანი იჯდა, არ იყო ელექტროგაყვანილობა... სრულიად სიბნელეში იყო, მათიას იორში რომ შევიდა პირველად და კარები გაუღია, შუქი რომ მოხვდა სულხანს, დაცემულა.

მათიას იორშთან ერთად კიდევ მეორე წარმომადგენელი იყო ევროკავშირიდან, ცუდად გახდა ის კაცი და გაიყვანეს საკნიდან. მათიას იორშს ინტერვიუ რომ ჩამოართვეს ჟურნალისტებმა, თქვა, ასეთ პირობებში ჩვენთან ცხოველებს არ ამყოფებენო.

კიდევ ერთ ამბავს მოგიყვებით... ციხეში, სადაც სულხანი იჯდა, ერთ-ერთ დაკავებულ თანამდებობის პირთან შეაგზავნეს ცხელ-ცხელი ხაჭაპურები, ბადრაგი არ იდგა იმ დროს გასული იყო. სულხანს ცხელი ხაჭაპურები მიაწოდა ამ ადამიანმა და სულხანს იმდენად შიოდა, მთლიანად დაუკეცია და ჩაუდია პირში, მაგრამ ბადრაგს მიუსწრია და გადმოაყრევინეს პირიდან. ჩვენ არაფერს გვაგზავნინებდნენ, არაფერს არ იღებდნენ, რადგან არაფრის შეტანა არ შეიძლებოდა.

– თქვენ განაცხადეთ, რომ სახლის გადაფორმების თემას პირადად ვალერი გრიგალაშვილი ხელმძღვანელობდა. სახლის გადაფორმებას სულხანის ციხიდან გამოსვლის სანაცვლოდ გთავაზობდნენ?

– გრიგალაშვილი და კახა კობერიძე თვითონ იყვნენ მე-7 საპყრობილეში მისულები სახლის თემაზე. სულხანმა უთხრა, თათიას დაურეკეთ, მე როგორ გავაკეთებ აქედან, ჩემი ცოლი რასაც ეტყვით, იმას გააკეთებსო.

ამის შემდეგ, მე მელაპარაკნენ, და გრიგალაშვილმა ჩემთან დედა დაიგინა, ნახავთ თუ არ გამოვა მეორე დღესვეო, სასამართლო იყო უკვე ჩანიშნული.

სულხანს ეგონა, რომ მე უარს ვიტყოდი ამაზე და ამიტომ დამალაპარაკა გრიგალაშვილს, მაგრამ მე სულხანის გამო ყველაფერს გავაკეთებდი. თანაც, ეს სახლი ჩვენი საკუთრება კი არ იყო. ჯერ ვიყიდეთ და მერე გადავუფორმეთ. ნახევარ საათში მოხდა ეს ყველაფერი. ყველაფერი თვითონ მოაგვარეს უცებ, ნოტარიუსთან, საღამოს, როგორც ჩვეოდათ.

სამჯერ ჩამიყვანეს მარნეულში, მარნეულს ეკუთვნოდა მაშინ წავკისი, გარდაბანში ჩამიყვანეს, და 7-ის ნახევრამდე მელოდებოდა ნოტარიუსი, შუადამეს იქ დამხვდა შალიკიანის ცოლი ატირებული, და ასე უფორმებდა იმ ნოტარიუსში თავის ქონებას ამ ნაძირლებს.

ამ ყველაფერს აგვარებდა ვალერი გრიგალაშვილი. მე უკვე ბავშვები მომზადებული მყავდა, ველოდებოდით, რომ სულხანს გამოუშვებდნენ სასამართლოდან. ტელევიზორს ვუყურებდი და გავიგე, რომ სულხანი საერთოდ არ მიიყვანეს სასამართლოში, გაუარესდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. გავვარდი იმ წუთას ციხეში და დავინახე, რომ ზუსტად ამ დროს სასწრაფოთი გამოჰყავთ სულხანი.

აი, ეს იყო ჩემი გადაფორმებული წავკისის სახლი. გადამაფორმებინეს იმიტომ, რომ მომაკვდავი სულხანი საავადმყოფოში გადაეყვანათ.

გრიგალაშვილს რა ნამუსით აქვს ხმა ამოსაღები? გრიგალაშვილი მე რომ დამინახავს სასაფლაოზე, არ მოვიდეს, თორემ არ ვიცი იქ რა მოხდება. არაკაცი, მის ოჯახს გონია, რომ კაცი ჰყავთ? ეგ არის არაკაცი! პათოლოგი არაკაცი და გამცეს ახლა პასუხი!

– გარდა იმ წამებისა, რაც სტრასბურგის სასამართლომ დადასტურებულად ცნო, ამბობენ, რომ ციხეში სულხანს არასწორად მკურნალობდნენ, რამაც კიდევ მეტად შეარყია მისი ჯანმრთელობა. თქვენ თუ იცით რაიმე ამის შესახებ?

– თვითონ არ ამბობდნენ, რასაც უკეთებდნენ სულხანს? სააკაშვილი და ადეიშვილი? სასწრაფოსაც კი არ მიგვაკარეს, ასე მივსდევდით და ვეხვეწებოდით...

პირველად მაშინ დავინახე სულხანი ახლოდან, ჩავხედე სასწრაფოს მანქანაში და სულ სხვა ადამიანი იწვა – წვერებით, გამხდარი, სანთელივით კაცი. რას უკეთებდნენ, თვითონ უფრო არ იციან, რასაც უკეთებდნენ? მთელი სახელმწიფო ებრძოდა თურმე ერთ სულხან მოლაშვილს, მაგრამ როგორ ყვარებია ხალხს, ამითაც გამსკდარი იქნება გულზე სააკაშვილი. სააკაშვილის დასაფლავებაზე ორი კაცი დადგება მარტო, ცოლ-შვილიც კი არ დაუჯდება იქ.

დიახ, ვაცხადებ ხმამაღლა და საჯაროდ! ვაცხადებ, სულხანი სიკვდილამდე სააკაშვილმა, ადეიშვილმა და ბოკერიამ მიიყვანა!

სააკაშვილი, რომელიც პრეზიდენტი კი არა კაცმაცუნა იყო, გაცოფებული იყო სულხანზე, ვერაფერი მოუხერხა, ვერ გატეხა! ჯერ იყო და 14 წლის შვილი მიცემეს, რომ სარჩელი გამოეტანა სულხანს სასამართლოდან, მერე იყო და ძმა, თორნიკე დაიჭირეს, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ, იმიტომ რომ სულხანი იყო კაცი და არა მათი მსგავსი ლაჩარი!

ბედნიერი ვარ, რომ მე ოჯახი სულხანთან ერთად შევქმენი. ხომ ასე მალე წავიდა ამ ქვეყნიდან და ახალგაზრდა, 46 წლის, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვარ იმ მოკლე პერიოდითაც, რაც სულხანის გვერდით გავატარე.

ლევან რამიშვილმა თქვა, ჩემი ნება, რომ იყოს რუსთაველის ხეებზე სახრჩობელაზე ჩამოკიდებდი სულხან მოლაშვილსო.

თავიდან მიშას პიარი რომ უნდოდა, მოკრიფეს უსახლკაროები და წაიყვანეს. ამ ხალხს რომ გაუგია, რომ სულხანის სახლი იყო, ყველამ დატოვა ის სახლი, იმ უსახლკაროებმა ინამუსეს, არ გაჩერდნენ, ამ სახლში ჩვენ არ გავჩერდებითო.

გრიგალაშვილი გამოდის და ამბობს ხალხში, რომ ნახევარმილიონიანი ბუხარიაო... ჭაჭის ქვით მოპირკეთებული ბუხარი შეიძლება ნახევარი მილიონი ღირდეს? ან ტყვიაგაუმტარი ფანჯრები ღირს მილიონები?

– როგორ მოხდა სულხანის გათავისუფლება? ჩაერია თუ არა ამ საქმეში პატრიარქი?

– პატრიარქს ძალიან უყვარდა სულხანი. ნინო ბურჯანაძის 40 დღიანი პრეზიდენტობა იყო და იმ დროს ნინო მივიდა პატრიარქთან. მაშინ უთხრა უწმინდესმა, შენ გაქვს ახლა ეს შანსი და გამოიყენე, გამოუშვი სულხან მოლაშვილი და დავით მირცხულავაო. ნინო ბურჯანაძემ იმ წუთას ხელი მოაწერა შეწყალებას და გამოუშვა. მაგრამ ამით არ დამთავრებულა ეს ამბავი. იმდენად გარეწრები იყვნენ, ბაჩო ახალაია შევიდა სულხანთან საკანში და უთხრა, გინდა თუ არა უნდა დაწერო, გთხოვთ მაპატიოთო, შეწყალება თუ გინდაო. ნაძირლები! შეწყალებული იყო სულხანი და ატყუებდნენ, არ ხარ შეწყალებული და ეს უნდა დაწეროო. იცით რა ტექსტი დაუდეს? იცით რა უნდა დაეწერა?! მთელი ცხოვრება მადლიერი ვარ სააკაშვილის და მასთან არანაირი პრეტენზია არ მაქვსო.

სულხანმა ეს არ ქნა, დავრჩები აქო. სულხანმა კაცურად გაიარა თავისი ცხოვრება, ყველას შეშურდება და ახლა მკვდარი სულხანისიც კი შურს, იმ კაცმაცუნას.

ᲛᲔᲣᲠᲜᲔ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲞᲐᲞᲘᲠᲝᲡᲘᲐᲜ ᲙᲐᲪᲡ ᲛᲐᲠᲐᲜᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲙᲐᲠᲔᲑᲗ

“სანამ ღვინოს დავწურავთ, მანამდე ლოცვა ითქმება, ასევე გადაღების დროსა და დალევის წინაც. ოთხივ კუთხივ სანთელიც ინთება, ვავედრებთ უფალს”

“საოცარი ნიადაგია საქართველოში, რაც საშუალებას გაძლევს, შესანიშნავი ყურძენი და ხორბალი მოიყვანო. პურისა და ღვინის, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ”, – ამბობს მსახიობი გია აბესალაშვილი, რომელიც კარგი მეურნე და სასოფლო-სამეურნეო საქმის მცოდნეა. მასთან საუბრისას დავრწმუნდი, რომ დაინტერესებულ ადამიანებს არაერთ თემაზე სასარგებლო რჩევასა თუ კონსულტაციას გაუწევს.

– ჩვენი გვარი სამცხე-ჯავახეთიდან არის, დიდი ჭალა ყოფილა, ადგილი, საიდანაც რაჭაში გადასახლებულან. გვარის ისტორია 1640 წლიდან ვიცი (მეუღლე არქივში მუშაობდა და ბევრი რამ დაადგინა). ვინ როდის დაიბადა, რით და როდის გარდაიცვალა, ყველაფერი ეკლესიის ისტორიაში წერია... ჩემი წინაპრები, ბაბუაჩემის გარდა, სასულიერო პირები იყვნენ, აბესალომ ქართველის შთამომავლები ვართ...

– რატომ დატოვეს სამცხე-ჯავახეთი?

– მიწისძვრების გამო მიგრაცია დაიწყო და იმერეთიდან, სვანეთის ნაწილიდან, ლეჩხუმიდან რაჭაში გადავიდნენ. ჩვენი სოფელია საკაო, უწერის მხარეს...

– თბილისში დაბადებული და გაზრდილი ხართ, თუმცა თქვენი კუთხე, სოფელი და იქ საქმიანობა გიყვართ...

– ხშირად დავდიოდით რაჭაში და დღემდე ასეა. თიბვაშიც ვეხმარებოდი, თოხნაშიც და მკაშიც, უზარმაზარ იალაღებზე... უცხოეთში როცა მოვხვდებოდი, ცელის პირები ჩამომქონდა რაჭაში წასაღებად. ასე რომ, იქაური მშრომელი და გამრჯე ადამიანების გარემოცვაში ვიზრდებოდი და სოფლის საქმეები ჩემთვის უცხო არასდროს ყოფილა. ამან მასწავლა მიწის, ადამიანების სიყვარული. 8 საათს რომ მოუნდები მთაში ასვლას, სადაც უნდა თიბო, მერე იქ 1 კვირას რჩები, შრომობ, მოილხენ, მღერი, გზებს აკეთებ, რომ იქ საქონელიც აიყვანო და იქიდან ხარებით თივა ჩამოიტანო, სხვანაირად ვერ იქნება...

ფუტკარიც გვყავდა, მაგრამ მეფუტკრეობას დიდად ვერ დავიბრალებ. თუმცა ვიცი, რომ ფუტკარს სუფთა, **“დაპრიალებული”**, დავარცხნილი ადამიანები უყვარს, ყველა ჰიგიენური ნორმა დაცული უნდა გქონდეს, მათ ვერც ნასვამი მიეკარება... თაფლისგან მე და ჩემს მეზობელს, ნუგზარ გუგეშაშვილს, რომელსაც ბევრი ფუტკარი ჰყავს, ღვინოც დაგვიყენებია. თაფლის ფიჭა რომ გადაიწურება, ის უნდა ჩაიყაროს ჭურჭელში და წყალი დაესხას, რაც დუღილს იწყებს. მსუბუქი ღვინო გამოდის, ვერც მიხვდებით, რომ თაფლისაა.

– მარცვლეული არ მოგყავთ?

– ახლა აღარ, ყანას გათოხნა-გამარგვლა, გაფარცხვა, მოკლედ, დიდი შრომა უნდა, თან, სოფელშიც ხალხი აღარ დარჩა, დაიცალა იქაურობა. სამაგიეროდ, ეზოში თითქმის ყველანაირი ხეხილი ხარობს: კაკალი, თხილი, ყველას ვეუბნები, ზაფხულში ჩამობრძანდით და გაგატანთ-მეთქი. ცუდია, რომ ფუჭდება, დამპალი ხილი მაშინვე სხვა ადგილას უნდა გადაიტანო, რომ სოკო არ გაჩნდეს. ვისაც ასეთი მეურნეობა აქვს, ვურჩევ, საბოსტნე მეურნეობაც წამოიწყოს.

მანამდე კი სიგრძეზე უნდა გათხაროს დიდი ორმო, სადაც ორგანულ ნარჩენებს ჩაყრის – ჩამოცვენილ ფოთოლს, დამპალ ხილს მიწას მიაყრის, სადაც უკვე ჭია იწყებს მუშაობას. ყველაფერი ფხვიერი ნეშომპალა ხდება და იქ ბოსტანს 7-8 წელიწადს არ სჭირდება სასუქი. ხეხილის ნერგებიც მინდა განვაახლო, შემოდგომაზე ვერ მოვახერხე და გაზაფხულისთვის ვგეგმავ. თუმც კი შემოდგომაზე ჯობს – ზამთარს გამოივლის და გამოჩნდება, რამდენად გამძლეა... ზოგი ხე დაბერდა და გადავჭერი. კარალიოკის გარდა, ჩვენთან ყველა ხილი მოდის.

– ღვინოს ხომ აყენებთ?

– ჩვენკენ ალექსანდროულის ჯიში, კაჭიჭი, უსახელაური ხარობს. ვენახისთვის მნიშვნელოვანია, მზე როგორ უყურებს. კარგი ღვინისთვის კარგი ყურძენი უნდა გვქონდეს და შესაბამისი ჭურჭელი, ქვევრიც შეიძლება. ქვევრი კარგად უნდა იყოს ამორეცხილი, რადგანაც შეიძლება სოკოვანი, ობი ჰქონდეს მოკიდებული. კარგია, თუ ტყემალს ჩავყრით და დავამჟავებთ. ტყემალი ყველაფრისგან გაწმენდს და გაასუფთავებს. სოკოვანის გამო გოგირდის ჩაკიდებაც აღარ დასჭირდება. ამასთან, კარგი სარქველი უნდა და გრილი ადგილი.

ღვინოს დიდ საწნახელში (ძალიან ძველი საწნახელი მაქვს, სამუზეუმო ექსპონატია. მესამე ტოტია – იმხელა ხე იყო, იქიდან სამი გამოვიდა) ჩავწურავ. მასში ტალავრის, ხეივნის ყურძენს ვყრი. ადრე მეტი გვქონდა, შოუბნიდან, ჩვენი ვენახებიდან, ხარებით მოგვქონდა. საწნახელში ჩაწურული ღვინო ქვევრში ღარებით გადადის. გაივსება თუ არა, ზემოდან ჭაჭას მოვაყრით, მერე ხის სარქველს დავაფარებთ და აყალო მიწით დავგოზავთ. როგორც პლასტილინს, ისე შემოვუზელთ, რომ ჰაერი არ ჩავიდეს. ასე მანამდე იქნება, სანამ ჭაჭა ქვემოთ არ ჩავა.

ღვინო, წესით, აღდგომას უნდა გაიხსნას. მაშინ არის დავარგებული, მაგრამ ახლა აღდგომამდე ვინ მიაღწევინებს ღვინოს. დიდხანს გაჩერებაც არ ვარგა, შეიძლება ქვევრში გაიპაროს.

როცა გახსნი, ხაპით უნდა ამოიღო და ბოცებში გადაიტანო. ღვინო ქვევრში ძველდება ან მუხის კასრში, რომელიც სპეციალური ჯიშისგან უნდა იყოს დამზადებული. ბოცებიდან რაც ხშირად გადავიღებთ, უკეთესია, სუფთავდება. შეგვიძლია პროცესის დაჩქარება, თუ ნარმის ძაბრში გავატარებთ, მაგრამ დიდხანს უნდა დაწრეტა. სანამ ღვინოს დავწურავთ, მანამდე ლოცვა ითქმება, ასევე გადაღების დროსა და დალევის წინაც. ოთხივ კუთხივ სანთელიც ინთება, ვავედრებთ უფალს. პირველად შემოტრიალდება საწური და გადაღებას დავიწყებთ. პაპიროსიან კაცს იმ მარანს არ ვაკარებთ. ქალებიც ნაკლებად შეგვყავს იქ.

ღვინო ცოცხალია, ისევე როგორც ნაკურთხი წყალი, უდიდეს ინფორმაციას ატარებს. ბაბუაჩემი ლოთებს ღვინოს კი არ ასმევდა, ვინც პირდაპირ გადაყლაპავდა. ამბობდა, ამისთვის რა მნიშვნელობა აქვს, რას დალევსო? ამან ღვინის ფასი და ყადრი არ იცისო.

ერთხელ კენკროვანი ხილი – მოდგინარი და მოცხარი მთიდან ჩამოვიტანე, რომელიც რაჭაში დიდ ბუჩქებად იზრდება. ცხენს ავკიდე 2 ვედრო. ჩემებმა ქალაქიდან ჩამოსვლა რომ დააგვიანეს, ავდექი და ღვინო დავწურე, ცოტა შაქრით შევაზავე, მომჟავო, ლალისფერი სითხე მივიღე. ჭიქაში რომ ვასხამდი, ულამაზესი იყო, ვერ ხვდებოდნენ, რისგან იყო დამზადებული. კარგი არომატიც ჰქონდა...

– რას ურჩევდით სხვას?

– შრომას არავინ გაურბის, არ უნდა დაახრჩონ ადამიანები, სესხი უნდა იყოს დაბალპროცენტიანი. თუ კაცი შრომის შედეგს ვერ ხედავს, თოხს აქეთ-იქით უაზროდ ხომ არ იქნევს? მერწმუნეთ, ქართველი არ არის ზარმაცი, მას ხელის შეწყობა უნდა.

ლალი ფაცია

რაჭომ არ ავადდებიან ათონელი ბერები კიბოთი – აღმოჩენა, რომელმაც მსოფლიო გააოცა!

ამ უცნაურ ფაქტს პირველად ბერძენმა მედიკოსებმა მიაქციეს ყურადღება, მაგრამ სულ მალე ამან მთელი მსოფლიოს ექიმები და მკვლევარები დააინტერესა. აღნიშნულ ფაქტზე სერიოზული სამეცნიერო კვლევები 1962 წელს დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს. შედეგად დამტკიცდა, რომ ათონის მინასტრის ბერები არც არასოდეს დაავადებულან და არც ახლა ავადდებიან კიბოთი, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში შემაშფოთებლადაა მომძლავრებული ეს დაავადება.

მოცემული დასკვნა გაკეთდა ცხედრებისა და ნარჩენების გამოკვლევით, რომელთა ასაკი რამდენიმე ათასი წლის ფარგლებში მერყეობს.

ამ საოცარი ფაქტის ასახსნელად ბევრი სხვადასხვა თეორია იქნა წამოყენებული, რომელთაგან, საბოლოო ჯამში, ყველაზე სარწმუნოდ მხოლოდ ერთი მიიჩნიეს: ამ საშიში დაავადების თავიდან აცილებაში ათონელ ბერებს მათი კვებისა და ცხოვრების რეჟიმი ეხმარებათ. სწორედ ამაზე ვისაუბრებთ ქვემოთ...

აღმოჩნდა, რომ ისინი საერთოდ არ იღებენ ხორცს, სამაგიეროდ მიირთმევენ ბევრ ხილსა და ბოსტნეულს, რადგან უმეტეს დროს მძიმე მარხვაში ატარებენ.

სწორედ მათი ჯანსაღი, ცხიმებისგან თითქმის დაცლილი საკვები იცავს ბერებს კიბოსა და ბევრი სხვა დაავადებისგან და მათ ხანგრძლივ სიცოცხლეს განაპირობებს. ცნობილია ბევრი შემთხვევა, როცა ათონის ბერები 110 წელსა და უფრო მეტ ასაკს ყოფილან მიღწეული. მათი სიცოცხლის საშუალო ასაკი 94 წელია და ეს უკვე დიდი ხანია ოფიციალურად დადგენილი ფაქტია.

რაც არ უნდა უცნაური იყოს, მათი დიეტის მთავარი პრინციპები მართლმადიდებლური რელიგიის წესებით არის რეგულირებული, რომლებიც მორწმუნეებს მოუწოდებს მოიხმარონ პროდუქტი გონივრული რაოდენობით, უცხიმოდ, მცირედი და ხშირ-ხშირი ულუფებით.

ისეთ დღესასწაულებზეც კი, როგორიც აღდგომაა, ბერები არ მიირთმევენ ხორცს. სამაგიეროდ, მათ რაციონში შედის სხვადასხვაგვარი თევზეული, თხის, ძროხისა თუ ცხვრის ყველი და სხვა ცილოვანი პროდუქტები, როგორიცაა, ბარდა და ლობიო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხილი და ბოსტნეული, რომლებსაც ისინი მოიხმარენ, თავად ათონელი ბერების მოყვანილია, რაც ასევე ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლის საწინდარია. საქმე მხოლოდ იმაში არ არის, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები ასუფთავებს ორგანიზმს. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ყოველდღე, ნებისმიერ ამინდში, ბერები გარკვეულ დროს ატარებენ სუფთა ჰაერზე, ფიზიკურად შრომობენ, რაც არანაკლებად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისათვის.

მართლმადიდებლურ დიეტასთან ერთად, ათონელი ბერების ჯანმრთელობაში, მეცნიერების აზრით, მთავარ როლს ასრულებს ისიც, რომ ისინი თანამედროვე ცხოვრების მღელვარებიდან, სტრესიდან და ქალაქის დაბინძურებული ჰაერიდან შორს ცხოვრობენ.

როგორ შეიძლება ათონელი ბერების ცხოვრების წესის ჩვენს თავზე მორგება იმისათვის, რომ თავი დავიცვათ ავადმყოფობებისგან, შევინარჩუნოთ შესანიშნავი ფიზიკური და გონებრივი ფორმა და დიდხანს ვიცოცხლოთ?

წესები არც თუ ისე ბევრია:

1. თავი აარიდეთ სტრესებს, ნერვიულობას და სიბრაზეს – გაიწმინდეთ სული და მაშინ ის გახდება თქვენი სხეულის მთავარი წამალი.

2. ხშირად იყავით სუფთა ჰაერზე, გადით ქალაქგარეთ, ტყეში.

3. გადადით უბრალო საკვების მოხმარებაზე, უარი თქვით კონსერვანტებზე, ცხიმებზე, ხორცზე და ძნელად გადასამუშავებელ კერძებზე.

4. კვირაში თუნდაც სამი დღით – მაგალითად ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს, – დაიცავით მკაცრი მარხვა და მიირთვით მხოლოდ უმი ხილი და ბოსტნეული.

5. კვირაში 5-ჯერ, დღეში თუნდაც 2 საათი დაუთმეთ ფიზიკურ შრომას ან სპორტს.

6. მოაწესრიგეთ თქვენი სექსუალური ცხვრება და დაიყვანეთ სქესობრივი აქტივობა თვეში 3-4 ჯერზე.

7. უარი თქვით ისეთ თვითმკვლელ ჩვევებზე, როგორიცა სიგარეტი და ალკოჰოლი.

თემურ შაშიაშვილი: ჩვენ მოვითმინეთ ეს ბარბაროსული აქტი...

პარტია **„თეორები”** განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „რეპორტიორი” უცვლელად გთავაზობთ:

„რამდენიმე დღის წინ ნიკოლოზობა აღვნიშნეთ. ნიკოლოზობა დიდი ქრისტიანული დღესასწაულია. გამორჩეულად მოწყალე წმინდანის ხსენების დღეს, ოდითგანვე ყველა ცდილობდა, სათნოებით წარმოჩენილიყო და სიბოროტე არ ჩაედინა. სამწუხაროდ, სწორედ ამ დღეს, 7 წლის წინ, ტერორისტებისათვის დამახასიათებელი ფანატიზმით, ვანდალებისათვის დამახასიათებელი უმეცრებითა და გულქვაობით, სააკაშვილის ხელისუფლებამ მორიგი დანაშაული ჩაიდინა რწმენისა და ადამიანობის წინააღმდეგ: 2009 წლის 19 დეკემბერს, ნიკოლოზობას, მიხეილ სააკაშვილის – ნიკოლოზის შვილის და ნიკოლოზის მამის ბრძანებით, ქუთაისში ააფეთქეს „დიდების მემორიალი”, ღამით, ვერაგულად განხორციელებულ ამ ვანდალურ აქტს დედა-შვილის სიცოცხლე ემსხვერპლა...

საზოგადოების ნაწილის, მეცნიერების, კულტურის მოღვაწეების, ინტელიგენციის პროტესტს მაშინ არ მოყოლია არანაირი რეაქცია, იქნებ იმიტომ, რომ საზოგადოების ფართო ფენებს მაშინ არ გასჩენიათ პროტესტის ისეთივე მძაფრი შეგრძნება. ვანდალიზმი მაშინ დაუსჯელი დარჩა, დაუსჯელობამ კი ლოგიკური შედეგი გამოიღო – მომავალში არანაკლებ სისხლიანი ვანდალიზმის აქტები (თუნდაც 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი დარბევა გავიხსენოთ). „ფილოსოფიურ ტრაქტატად” წოდებული მერაბ ბერძენიშვილის დიდებული ქმნილება დღეს აღარ არსებობს...

დღეს ქვეყანაში სხვა რეალობაა. შეიცვალა ხელისუფლება. „ნაცმოძრაობის” ფაშისტური მმართველობა წარსულს ჩაბარდა. სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის მემორიალის ავტორი, დიდი ხელოვანი მერაბ ბერძენიშვილი. სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოსულმა ხელისუფლებამ კი ვერა და ვერ მისცა შეფასება ამ საზარელ დანაშაულს, დამნაშავეები კვლავ დაუსჯელები არიან...” – ნათქვამია განცხადებაში.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ალალად გეტყვით: ჩემი აზრით, რუსეთის ნაკრები კიდევ კარგა ხანს ვერ მოუგებს საქართველოს!

რუსული რაგბი ქართველს ჩაებარეს: რამდენიმე კვირის წინ გამართულ რაგბის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში 50 წლის მამუკა ლოსაბერიძემ გაიმარჯვა. 23 წელიწადზე მეტია, რუსეთის ნაკრებს ბორჯღალოსნები არ დაუმარცხებია და... ალბათ, ახლა მიეცემათ იმედი, რომ ქართველი რუს დათვსაც ასწავლის "ხეზე ასვლას"... ლოსაბერიძე არც მალავს, რომ იცის ქართველების დამარცხების საიდუმლო, თუმცა სჯობს, მასთან ექსკლუზიური ინტერვიუ თავად წაიკითხოთ:

– წარმოშობით ლეჩხუმელი ვარ, მაგრამ დავიბადე ტყვარჩელში, სადაც მამა მადაროს დირექტორი იყო. თუმცა აფხაზეთში ერთი დღეც არ მიცხოვრია, მაშინვე ქუთაისში წამიყვანეს...

– და რაგბისაც იქ ეზიარეთ...

– 7 წლის ასაკიდან, უკვე 43 წელიწადია... ვარჯიში ქუთაისში დავიწყე, რამაზ სვანაძესთან, 1982 წელს კი ჩავირიცხე ქუთაისის "აიაში". უფრო სწორად, მაშინ ჯერ კიდევ "მშენებელი" ერქვა. მალევე, სსრკ-ის ახალგაზრდულ ნაკრებში მიმიწვიეს და ევროპის ჩემპიონიც გავხდი ახალგაზრდებს შორის. 1987-1989 წლებში ზედიზედ სამჯერ გავხდით ქვეყნის ჩემპიონები და ორჯერ სსრკ-ის თასიც მოვიგეთ, 1990-ში კი საფრანგეთში წავედი და სამი წელი მეორე ლიგის გუნდში ვითამაშე. მოგვიანებით ესპანეთში გადავბარგდი და ორი წელიწადი მწვრთნელად ვიმუშავე. 1999 წელს დავბრუნდი რუსეთში და აღვადგინე მოსკოვის "სპარტაკი", რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში არსებობდა და თბილისშიც მყავდა ჩამოყვანილი სათამაშოდ. ჩემი დაფუძნებულია რუსეთის რაგბის პროფესიული ლიგაც...

– ბოლო წლებში სულ რუსულ რაგბიში ხართ. ფედერაციის პრეზიდენტობის სურვილი როდის და რატომ გაგიჩნდათ?

– წლებია, ამ თანამდებობაზე ალტერნატივა არ ყოფილა. 2003 წლიდან ვიაჩესლავ კოპიევი იყო ფედერაციის პრეზიდენტი და ყოველ წელს უკან მიდის რუსული რაგბის საქმე. 142-მილიონიან ქვეყანაში მორაგბეს რომ ვერ მოძებნი და მორკინალი არ გეყოლება, რაზეა ლაპარაკი?

– თქვენი მისვლის შემდეგ, რა შეიცვლება რუსულ რაგბიში?

– ყველაფერი: მოვლენ ახალგაზრდები, ვისაც რაგბი უყვარს. ჩვენი წინამორბედებისთვის რაგბი იყო მხოლოდ ჰობი, რომელსაც თავისუფალ დროს უთმობდნენ. იმასაც მხოლოდ ფულისთვის – წლების განმავლობაში ღრღნიდნენ და გააკოტრეს რუსული რაგბი. მჯერა, რომ ჩვენ ბევრ რამეს შევცვლით.

– რატომ არ არის რუსეთში რაგბი პოპულარული?

– სხვათა შორის, მასობრიობის თვალსაზრისით, რუსეთში რაგბი უკვე სპორტის მეოთხე სახეობაა. რაც შეეხება პოპულარიზაციას, ფედერაცია არ ზრუნავდა ამაზე, არავის უნდა ჩვენთან თანამშრომლობა, რადგან ხელმძღვანელობა არ მუშაობდა სპონსორებსა და ორგანიზაციებთან, არ გვიცნობენ ინტერნეტისა და ტელევიზიის სამყაროში, ბიზნესი, სპორტი და მთავრობა არ იყო შეკრული, მხოლოდ ფულის შოვნაზე იყვნენ გადასული.

– 1993 წლის შემდეგ რუსეთის ნაკრებს საქართველოსთვის აღარ მოუგია. რუსები როგორ უყურებენ ამ სტატისტიკას?

– ალალად გეტყვით: ჩემი აზრით, რუსეთის ნაკრები კიდევ კარგა ხანს ვერ მოუგებს საქართველოს! აქაურებს ხშირად ვეუბნები, თუ საქართველოს დაამარცხებთ, მერე შეიძლება რამეზე ლაპარაკი-მეთქი. ჩვენი უმთავრესი ამოცანაც სწორედ ისაა, საქართველოს და რუმინეთის დამარცხებაზე ვიფიქროთ. ქართველი ვარ და სხვებზე უკეთ ვიცი, როგორ უნდა დაამარცხო ქართველები, მაგრამ, ჯერჯერობით, არა მყავს საჭირო შემადგენლობა. ტყვია-წამალი არის, მსროლელები – არა.

–მიხეილ მამიაშვილი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რუსეთის ჭიდაობის ფედერაციას, რუსულ რაგბის მამუკა ლოსაბერიძე ჩაუდგა სათავეში... სპორტის სათავეში ქართველების სიმრავლე რუსებში აგრესიას ხომ არ იწვევს?

– კიდევ ერთი ქართველი პრეზიდენტიც არის – ჩემი მეგობარი, რუსეთის პარაოლიმპიური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ბათუმელი ავთანდილ აბრამიძე, რომლის გუნდიც ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია! რუსული რაგბის სათავეში ერთი ქართველი ვარ და არანაირ აგრესიას არ ვგრძნობ. პირიქით, მთავრობა ყველანაირად მეხმარება.

– ქართველი მორაგბეების გადაბირებასაც ხომ არ აპირებთ რუსეთში?

– ვაპირებ, მაგრამ ისეთი მორაგბეების, ვინც ძმები ცნობილაძეებისგან განსხვავებით, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც ისევე ითამაშებს, როგორც რუმინეთთან ან ესპანეთთან შეხვედრებში. აქამდე მხოლოდ ერთმა – პავლე კვერნაძემ ითამაშა. სხვათა შორის, ჩემი მოსწავლეა... ასე რომ, ქართველს მხოლოდ იმ პირობით წამოვიყვან, თუ საქართველოსთანაც ითამაშებს. რაგბიში პოლიტიკა არ არსებობს და არც უნდა იყოს! კარგი იქნება, ქართველებმა თუ ასახელეს რუსეთი...

– რუსეთისთვის კი იქნება კარგი, მაგრამ ამის გამო სამშობლოში რომ გაგინაწყენდებიან?

– არა მგონია... დარწმუნებული ვარ, წლების გასვლასთან ერთად ყველაფერი ძველ კალაპოტს დაუბრუნდება და საქართველო და რუსეთიც აღადგენენ ურთიერთობას!

– მაგრამ როგორ უნდა ითანამშრომლო და "იმეგობრო" ქვეყანასთან, რომელსაც შენი ქვეყნის ტერიტორიის ერთი მეხუთედი ოკუპირებული აქვს?

– შეიძლება ჩვენ შევცდით რაღაცაში, შესაძლოა, რუსეთი და ამის გამო ტრადიციული კავშირი გაწყდა... მაგრამ ვიმეორებ – ადრე თუ გვიან, ყველა მდინარე დაუბრუნდება ძველ კალაპოტს...

– 9 ნომრის პოზიციაზე თამაშობდით და, ალბათ, განსაკუთრებული ყურადღებით ქართველი ჰავბეკების თამაშს აკვირდებით.

– ყოველთვის მიხაროდა ირაკლი აბუსერიძის, ვასკა ლობჟანიძისა და სხვა ჰავბეკების კარგი თამაში. სიამაყით ვიტყვი, რომ სსრკ-ის ნაკრებში კილასონია ბრწყინავდა, მერე იყო აბუ, ახლა ლობჟანიძე... ვასკას პირველად ინგლისში, მსოფლიო თასის დროს შევხვდი: გადავიღეთ სამახსოვრო ფოტო, რომელმაც ინტერნეტში დიდი პოპულარობა მოიპოვა. თუმცა რაგბი მხოლოდ შერკინება არ არის და დანარჩენ პოზიციებზეც გვჭირდება მეტი არჩევანი – 10 ნომერზე, შუამარბებში და ა.შ.

– 12 მარტს "დინამო არენაზე" საქართველო-რუსეთია. რას ელით მომავალი მატჩისგან?

– საქართველოს ნაკრების ყველა თამაშს ვუყურებ, თანაც მეც 9-ნომერი ვიყავი და ვიცი პატარა ეშმაკობები, რაც საქართველოს ნაკრებს არ მოსწონს. ასე რომ, რუსეთის ნაკრების მწვრთნელსა და მოთამაშეებს აუცილებლად მივცემ დარიგებას, როგორ ითამაშონ ქართველების წინააღმდეგ.

– რას ეტყვის რუსეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი მამუკა ლოსაბერიძე თავის სამშობლოს?

– განსაკუთრებულად მოვიკითხავ ქართულ სარაგბო სამყაროს, საქართველოს კი მშვიდობიან წელს, წარმატებასა და გაერთიანებას ვუსურვებ! აქვე ჩემს გულისტკივილსაც გაგიმხელთ: ერთადერთი ქართველი ვარ რუსული რაგბის სათავეში, ამდენს მივაღწიე ამხელა ქვეყანაში, საქართველოში კი ამას არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია. მრჩება შთაბეჭდილება, თითქოს რაღაც დავაშავე...

არც ერთ რუსს, ვისთანაც მე მაქვს ურთიერთობა, საქართველოს საწინააღმდეგო არაფერი აქვს. პირიქით, ფიქრობენ, რომ ერთი ნაბიჯის გადადგმაა საჭირო, რათა ჩვენი ერები ისევ დაახლოვდნენ და დღეს არსებული პრობლემებიც მოგვარდეს.

მოამზადა რატი შელეგიამ

ქართულ-იბერული (მეგრული) ლექსიკონი

აკვირტება-გოგვიგვილაფა, აბუტკება
აკვირტებული-გოგვიგვილაფირ, აბუტკებულ
აკვრა-ეკირუა, აბანდუა, ეხაბანუა (თასმებით)
აკიდო-ტიანონ
აკლდამა-აკარდამა
აკლება-არკება, პელეტუა (ქვეყნის)
აკლებული-არკებულ, პელეტერ
აკრავს-ოქართუ
აკრეფვა-აკოკალიფუა, ეკოროფუა
აკრძალვა-ვარება, აკოკრძალუა
აკრძალული-ვარებულ, აკოკრძალირ
აკოკრება-გოფუშქუტუა, პუპულუა
აკოკრებული-გოფუშქუტერ, პუპულერ
ალაგმა-ელაგამუა
ალაო-ქორაქვირ
ალი-ალ, აპაპარ (ცეცხლის მნათი ნაწილი)
ალი-კაშინა, ნაია (ზღაპრული არსება)
ალაგი-ანაგ
ალაგ-ალაგ--ანაგო
ალალი-ალალ
ალამი-ბერახ
ალასლასება-ევალაფა
ალაყაფი-სქინჩუონ
ალბათ-ალბოთ
ალბათობა-ალბოთობა
ალბანეთი-ალბანია
ალბანელები-ალბანარეფ
ალბინოსი-მარდიერ
ალერდი-შქიშქილ, ღაღან (ნედლი ბალახი, სიმინდი)
ალერსი-ლამურ (ამო-საამო-ამურ-ლამურ-ალემურ-ალერსი)
ალერსიანი-ლამურიერ, ლამურიერიხე (მდ.)
ალვის ხე-ჩე ჯა (მც.)
ალიაქოთი-ქორქოთ
ალი-კვალი--ალა-კვალ
ალიონი-ელადგინა, ალონ
ალისფერი-ალიშფერ
ალიყური-დაცაფ
ალმასი-ალმას
ალმაცერი-ორცა, მერთელ
ალმური-ალიართენ
ალუბალი-ბიბიშონ(ძვ.), ბიბიშ ბულ, ქვიშნა ბულ (მც.)ალუჩა-ალუჩა(მც.)
ალქაჯი-ტაჯ, ცქვირიკ, ამჯექ
ალქაჯობა-ტაჯობა, ცქვირიკობა, ამჯექობა
ალღო-გურიშ ჩამა, ალღო
ალყა(არაბ.)-ქართა, არგვათა
ალყაშემორტყმული-ქართასკვირ
ალხანა და ჩალხანა-ალანჩალან
ამაგი-ამაგ, ხანდინ (ამო-ამოხ - ამოგ-ამაგ)
ამაგდარი-მოამაგე, მოხანდინე
ამაზრზენი-გაზარზალაფალ
ამათ-თენეფს (კუთვნილებითი ნაცვალსახელი)
ამალა-ელმაყვენჯეფ
ამამაღლებელი-ეჟინარაფუერ
ამან-თექ

მალხაზ-ლაზარე გრიგოლია

გელა ზედელაშვილი: ხვდებით, რაშია საქმე?! ფული, ბაბაია, ფული!

ჟურნალისტი გელა ზედელაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურებას ე.წ. რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოყოფილ გრანტს უკავშირებს:

„2017 წლისთვის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ანტირუსული პროპაგანდისთვის გამოყო 1 მილიარდი დოლარი. ეს თანხა პოსტსაბჭოთა სივრცეში, გრანტების სახით, უნდა გადანაწილდეს მოლდოვაზე, უკრაინასა და საქართველოზე. დაახლოებით 300 მილიონ დოლარს აითვისებს ჩვენი არასამთავრობო სექტორი, რომელიც ირიბად თუ პირდაპირ დაკავშირებულია რამდენიმე პოლიტიკურ პარტიასთან და საინფორმაციო საშუალებასთან!

ახლა ხვდებით, რატომ მიდის გამძაფრებული პროპაგანდა, თითქოს საქართველოში პრორუსული ძალები გაძლიერდნენ და ხელისუფლებაში მოსვლასაც გეგმავენ?!

ფული, ბაბაია, ბევრი ფული!!!"

იუმორი

მთავარი ექიმი ეკითხება პალატის ექთანს:
– ღამე რამდენი კაცი მოკვდა?
– სამი.
– უცნაურია, მე ხომ ოთხი რეცეპტი გამოვწერე...

* * *

– რატომ გაიქეცით ჯარიდან?
– ავადმყოფობის გამო.
– რა ავადმყოფობა გჭირთ?
– არ ვიცი, მაგრამ ჩემს დანახვაზე მთელ ნაწილს გული ერეოდა.

* * *

– გოგონა, თქვენ მართლა არ ეწევით, არ სვამთ და კაცებს არ ხვდებით?
– დიახ!
– რატომ?
– მომბეზრდა...

* * *

ქუთაისელი წიგნს კითხულობს. მიდის ამხანაგი:
– რას კითხულობ?
– "საქართველოს ეკონომიკა"-ს!
– ვიცი, წაკითხული მაქვს, ბოლოს კვდება!

* * *

– რა გირჩევნია – ხუთი ათასი დოლარი თუ ხუთი ქალიშვილი?
– ხუთი ქალიშვილი.
– რატომ?
– იმიტომ, რომ რვა მყავს!

გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge